# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-შაბათი, 11-12 ივნისი. 2021 წ. №127-128 (9246-9247) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


# „პროვინციული ფაშიზმის“ გველები



## ხალხს ნაციონალები ყელში ამოუვიდა!.. ③

## დოღრიალა მელია დასაბმელია!..

**ტელევიზია რომ არ ყოფილიყო, რასაკვირველია, ყოველსავე ამბად გავიგებდით, მაგრამ ახლა ხალხი, ქვეყანა თავისი თვალით ხედავს, ვინ რას წარმოადგენს, ვის მართლა აწუხებს სამშობლოს ბედი და ვის რა გულის გვრემა აქვს...**

ამ თვალსაზრისით, ჭეშმარიტად სწორი შეფასება გაისმა ამ დღეებში: ნაციონალებმა თავიანთი მმართველობის ცხრა წლის მანძილზე ცხადი გახადეს, როგორი არ უნდა იყვეს ხელისუფლება, ხოლო ოპოზიციაში ყოფნის ასევე ცხრა წლის განმავლობაში დაამტკიცეს, როგორ არ უნდა იქცეოდეს ოპოზიცია, რომლისგანაც ტკაცატკუცი ბევრი გვესმის, ნაკვერცხალი კი არა ჩანს. თუმცა რაღა არ ატკაცუნეს, ეს ბოიკოტიო, კარვებიო, მიტინგებიო, ათასგვარ პროვოკაციასა და დემაგოგიას ხომ ნუღა იტყვით! აგერ ოქტომბრის არჩევნებიდან თითქმის შვიდ თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ ეგრეთ წოდებულმა ოპოზიციამ, სწორედ ნაციონალთა ამირსპასალარობით, მოსვენება დაუკარგა არა მარტო დიახაც კანონიერ პარლამენტს, არამედ მთელ ქვეყანას, ხალხს.

მართალია, „სიმართლის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქვაზედაო“, მაგრამ რა ქნას ამ სიმართლის ნერგმა, თუ ცივი წყლის ნაცვლად მარტოოდენ თავიანთ ჯამში ჩამყურე ბოროტი ადამიანები ადუღებულ წყალს უსხამენ და არ აძლევენ ნერგს გახარების საშუალებას.

შვიდი თვე არჩევნები გაყალბებულად აცხადეს და ამ საბაბით თავიანთი მოკლე ჭკუით ზურგი აქციეს საკანონმდებლო ორგანოს, სადაც შესვლაზე უარის ნიშნად კარგა მოზრდილი ქვა ააგდეს და ავი ზრახვებით სავსე თავები შეუშვირეს. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, აქეთ ევროპამ და იქით ამერიკამ, იცოცხლე, აალოკინა ფურთხიც და დორბლიც, რაც ტაკიმასხარა შალიკოს ფანჩატურელებმა ამ ხნის მანძილზე ანთხიეს.

ყველაზე მეტი ფურთხისა და დორბლის ალოკვა კი თვითონ სინდის-ნამუსდაღამებულ ნაციონალთა ქოჩორა ამირსპასალარს ნიკანორს ერგო, მელიას, რომელმაც, მიუხედავად ათასჯერ შერცხვენისა და თავისი წამოსროლილი ნათქვამისა, მაინც არ მოიშალა ტრაბახი, უსაგნო ბაქი-ბუქი და მეათასეჯერ დაამტკიცა, რომ დოღრიალა ლაჩარია. ჯერ იყო და პოლიტიკური ტანტალოსი და ვითომ თავმჯდომარე ნამდვილ თავმჯდომარესთან გაიქცა კიევში, მონობის უღელი შეასწორებინა, თავი დააქოქინა და იქიდან დაბრუნებულმა, უკვე პარლამენტის ტრიბუნაზე შემდგარმა, 9 ივნისს მუქარიანი ტრაბახი ჭექა, მეოცნებეებს ამ დარბაზიდან მალე სულ სათითაოდ გაგიყვანთო... ჯერ ამერიკას მოვივლი, ამერიკულად აღვიჭურვები და მერეო...

**ბევრი საღად მოაზროვნე, ქვეყნის ბედზე დაფიქრებული ადამიანისთვის დღეს ეს ჩვენი ლაჩარი, ლაზღანდარა ნიკანორი ქვეყნის დაქცევაზე მეოცნებე იმ ტურის ბიძაშვილია, ჭირიანობის დროს ქორწილს რომ იხდიდა, ამიტომ სხვათა და სხვათა აზრით, მელია დასაბმელია, თანაც ჯაჭვით სადმე უქათმო საქათმეში, რათა ვერც თვითონ აიწყვიტოს და ვერც ქვეყანას გადამტერებულ, ძალაუფლებისთვის გაგიჟებულ ლაშქარს ააწყვეტინოს...**

**„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია**

## ვინ მოატყუა დიდი ზურაბ ანჯაფარიძე?!.. ⑤




## რას ელიან საქართველოში NATO-ს სამიტისგან? ⑧

## დღეს რომში

### იტალია-თურქეთის მატჩით ევროპის XVI ჩემპიონატი იწყება!

## ხარხარი ნიურნბერგის პროცესზე ⑦

# ირაკლი ღარიბაშვილი: განათლების გარეშე ჩვენი ქვეყნის განვითარება წარმოუდგენელია!

**განათლების გარეშე ჩვენი ქვეყნის განვითარება წარმოუდგენელია, ვინაიდან განათლება არის ის მყარი ფუნდამენტი, საფუძველი იმისა, რომ ერთად ავაშენოთ ძლიერი საქართველო,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში განაცხადა.

მთავრობის მეთაური ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტს ეწვია და პირველკურსდამთავრებულებს შეხვდა. პრემიერმა, სტუდენტებთან საუბრისას, ხაზი გაუსვა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროექტის მნიშვნელობას, რომელიც ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, ევროპული დონის განათლება საკუთარ ქვეყანაშივე მიიღონ და აღნიშნა, რომ წლების წინ, სწორედ ამაში მდგომარეობდა ბიძინა ივანიშვილის იდეა, რასაც შემდგომ ამ უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელება მოჰყვა.

**„მინდა, კიდევ ერთხელ მოგილოცოთ დღევანდელი დღე, პირველი კურსის დამთავრება. ეს მართლაც არაჩვეულებრივი გარემო, რომელიც შეიქმნა ფონდ „ქართუს“ და ბატონი ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით და დახმარებით, არის მართლაც უნიკალური პროექტი, ევროპული ტიპის უნივერსიტეტი როგორც ხარისხით, ასევე განათლების დონით, სადაც გეძლევათ საშუალება, მიიღოთ ევროპული დონის განათლება“,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ დაგეგმილია უნივერსიტეტის განვითარების შემდგომი ეტაპი, თანამედროვე სპორტული კომპლექსით და სხვა შენობებით, რომელიც უახლოეს პერიოდში შეემატება უნივერსიტეტს.

**„განათლებაში ჩვენ ძალიან დიდი თანხების ინვესტირებას განვახორციელებთ. განათლების გარეშე ჩვენი ქვეყნის განვითარება წარმოუდგენელია, ვინაიდან განათლებული თაობა არის ის მყარი ფუნდამენტი, საფუძველი იმისა, რომ ერთად ავაშენოთ ძლიერი საქართველო. მინდა, ყველას წარმატება გისურვოთ. მეც ახალგაზრდა ვარ და ადრეულ ასაკში მომეცა შესაძლებლობა, ჩავრთულიყავი სახელმწიფო სამსახურში. მანამდე, მოგეხსენებათ, ვმუშაობდი კერძო სექტორში და ჩემი გამოცდილებით მინდა გირჩიოთ, მიიღეთ ჩემი თავმდაბალი რჩევა, მივცემ თავს ამის უფლებას – ყველაზე მთავარი, რაც მე საკუთარ თავზე გამოვცადე და რამაც განაპირობა შემდგომი წარმატებები, არის შემდეგი: რამდენიმე აუცილებლად გასაკეთებელ საქმეს გამოვყოფ:**

**პირველი, ეს არის თავდადება და თავგანწირვა. თუ ადამიანმა, სტუდენტმა, ახალგაზრდამ პირველ რიგში, მიზანი არ დაისახა, ისე, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი შეიძლება ისწავლოს, უსაზღვრო განათლება მიიღოს, მაგრამ ეს განათლება და ნიჭი ვერ გამოიყენოს. ჩემი თავმდაბალი რჩევა იქნება, ჯერ მკაფიოდ ჩამოყალიბდეთ მიზანზე – თქვენი მიზანი უნდა იყოს ძალიან მკაფიოდ ჩამოყალიბებული, რა უნდა იყოს თქვენი მთავარი ოცნება, თქვენი მისაღწევი უდიდესი მიზანი. გირჩევთ, რომ ეს თამასა აწიოთ უმაღლეს დონეზე. არ უნდა დაიწყოთ პატარა მიზნით, დაიწყეთ ყველაზე დიდი მიზნით.**

**მეორე, რაც მინდა გირჩიოთ, არის თავდადება – ამ მიზნისკენ მუხლჩაუხრელი, 24-საათიანი შრომა. ყოველი ჩვენი მიღწეული წარმატება, იქნება ეს პირველი კურსის დამთავრება, მეორე კურსის დამთავრება, ჩვენს წარმოსახვაში უნდა გვაახლოებდეს ამ მიზანს. ჩვენ თუ ამ სულისკვეთებით ვივლით, ყველა მიაღწევთ დიდ ოცნებას და მიზანს, იმიტომ, რომ მიუღწეველი არაფერია. თუ ადამიანი დაისახავს მიზანს, ის ყველაზე წარმოუდგენელ ოცნებას და მიზანს აუცილებლად მიაღწევს“,** – მიმართა პრემიერ-მინისტრმა სტუდენტებს.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ სტუდენტები თავიანთ სფეროსა და სპეციალობაში წარმატებულები გახდნენ.

**„კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ არაჩვეულებრივ გარემოში სწავლას. ეს ნამდვილად არის კარგი შესაძლებლობა, კარგი სასტარტო პირობები. როდესაც მე ვსწავლობდი საფრანგეთში, იქ არაერთი კარგი კამპუსი მაქვს ნანახი და გეტყვით სრული პასუხისმგებლობით, რომ აქ გაცილებით უკეთესია, ვიდრე რაც მინახავს ევროპაში. რაც დღეს ჩვენს ქვეყანას აკლია, ეს არის წარმატების ბევრი მაგალითი. ხალხს სჭირდება, დაიჯეროს გაკეთებული, მიღწეული საქმით და დაიჯერებს იმ შემთხვევაში, თუ ვაჩვენებთ წარმატების ბევრ მაგალითს. წარმატების მაგალითები ხართ თქვენ, თქვენ უნდა შექმნათ წარმატების მაგალითები“.**

ირაკლი ღარიბაშვილმა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, კაფეტერია და საცხოვრებელი კამპუსები მოინახულა. მთავრობის მეთაურმა ის ადგილიც დაათვალიერა, სადაც ადრონული თერაპიის ცენტრი უნდა აშენდეს.

**ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში პრემიერ-მინისტრთან ერთად იმყოფებოდნენ განათლების და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, პარლამენტის დეპუტატი ზაზა ლომინაძე, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი, იმერეთის გუბერნატორი ზვიად შალამბერიძე, ქუთაისის მერი იოსებ ხახალეიშვილი და ფონდ „ქართუს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეტიანი.**

**ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის შექმნის იდეა ბიძინა ივანიშვილს და მის ოჯახს ეკუთვნის. პროექტის განვითარებაში ფონდი „ქართუ“ ერთ მილიარდ ევროზე მეტ ინვესტიციას ახორციელებს. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი 2020 წელს, პანდემიის პერიოდში გაიხსნა. უნივერსიტეტის საპატიო პრეზიდენტი მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი პრეზიდენტი, პროფესორი ვოლფგანგ ჰერმანია, ხოლო მრჩეველთა საბჭოს წევრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი და წამყვანი მეცნიერები არიან.**

**ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში ლექციებს ქართველ პროფესორებთან ერთად კითხულობენ მეცნიერები მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან. ლექციები ტარდება როგორც აუდიტორიებში, ასევე ონლაინ მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი უნივერსიტეტის აკადემიურ ცხოვრებაში უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერების ჩართვის საშუალებას იძლევა.**

უნივერსიტეტი დაფუძნების დღიდან თანამშრომლობს მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან, მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან, რომლის შედეგადაც ერთობლივი აკადემიური პროგრამები შეიქმნა. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები ისწავლიან ანალოგიური პროგრამებით, რითაც სწავლობენ მათი თანატოლები გერმანიაში. ახალ აკადემიურ პროგრამებზე საერთაშორისო თანამშრომლობა გრძელდება მსოფლიოს სხვა წამყვან უნივერსიტეტებთან.

## მონტე-კარლოში ქართული ღვინო საერთაშორისო ექსპერტების წინაშე წარდგა

**საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, მონაკოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, მონტე-კარლოს ღვინის სასახლეში ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით ორგანიზებულ პრეზენტაციას დაესწრო, რომელზეც 7 ქართული კომპანიის 12 სხვადასხვა სახეობის ღვინო იყო წარმოდგენილი; მათ შორის: ასკანელი ძმების, ჭოტიაშვილის მარნის, ჯაყელების ღვინის, ვაზისუბნის მამულების.**

ღვინის საერთაშორისო ექსპერტებთან და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ მეღვინეებთან შეხვედრისას კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ქართული ღვინის უნიკალურობასა და ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდებს.

აღინიშნა, რომ ქვეყნის უძველესი ტრადიციები და ღვინის კულტურა ეროვნულ იდენტობასთანაა გაიგივებული. უძველესი დროიდან მოყოლებული, საქართველო ცნობილია, როგორც ყურძნისა და ღვინის ქვეყანა, ხოლო ტრადიციული ქართული ღვინო რთულად წარმოსადგენია ქვევრის გარეშე. ქვევრში ღვინის დაყენების ისტორია 8000 წელზე მეტს ითვლის და დღემდე გრძელდება. საქართველოს ღვინის ეროვნული საგენტოს თავმჯდომარის, ლევან მეხუზლას განცხადებით, ღვინის გამოფენებს, განსაკუთრებით ევროპაში, ძალიან მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს, მეღვინეები და ღვინის მოყვარულები ეცნობიან ერთმანეთს და ახალ-ახალ ღვინოებს. ამასთან, უმნიშვნელოვანესია გამოფენებში პრეზიდენტის მონაწილეობა და მისი მხარდაჭერა ქართული ღვინის მიმართ.

**„დღეს, კოვიდის ფონზე, საფრანგეთსა და მონაკოში, რომელიც ფაქტიურად თავისი ღვინის გარდა არაფერს ცნობს, ხდება სწორედ ქართული ღვინის პრეზენტაცია – ქართული ღვინის საფუძვლის და ფესვების წარდგენა, რასაც დიდი ენთუზიაზმით აფასებენ სპეციალისტები. ეს არის ფაქტი, რომ საქართველო აღიარებულია, როგორც მეღვინეობის ქვეყანა და მისი ცნობადობა უკვე დამკვიდრდა მსოფლიო რუკაზე“,** – განაცხადა ლევან მეხუზლამ.

## არჩილ თალაკვაძე: მოვუწოდებთ ოპოზიციურ პარტიებს, მხარი დაუჭირონ ამნისტიას!

**მოვუწოდებთ ოპოზიციურ პარტიებს, მხარი დაუჭირონ ამნისტიას და ერთხელ და სამუდამოდ დავხუროთ ეს უთანხმოება,** – ამის შესახებ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, არჩილ თალაკვაძემ ჟურნალისტებს ამნისტიის კანონპროექტზე საუბრისას განუცხადა.

მისი თქმით, ამნისტიის საკითხი „ქართული ოცნების“ მოთხოვნა არ ყოფილა და არც დღესაა მნიშვნელოვანი საჭიროება.

**„მიშელის შეთანხმებაში წერია, რომ ამნისტია არცერთი მხარის სასარგებლოდ არ უნდა იყოს მიღებული. იგი ყველას უნდა შეეხოს და უნდა შეძლოს ამ უთანხმოების ფურცლის გადაშლა, ანუ ამ საკითხის დახურვა, რათა მომავალში, 20-21 ივნისთან დაკავშირებული მოვლენები პოლიტიკურ პარტიებს შორის დაპირისპირების საგანი აღარ იყოს. ეს არის შეთანხმების არსი ამ პუნქტთან დაკავშირებით. ჩვენ მზად ვართ და სწორედ ამიტომ დავაინიცირეთ ეს კანონპროექტი. ეს არ ყოფილა „ქართული ოცნების“ მოთხოვნა და არც დღეს არ გახლავთ მნიშვნელოვანი საჭიროება, რომ ვინმემ თქვას, ეს „ქართულ ოცნებას“ სჭირდება და ამიტომ ვიღებთ. მოვუწოდებთ ოპოზიციურ პარტიებს, მხარი დაუჭირონ ამნისტიას და ერთხელ და სამუდამოდ დავხუროთ ეს უთანხმოება“,** – განაცხადა თალაკვაძემ.

## ალეკო ელისაშვილი: ეს არის უპასუხისმგებლობასთან ბრძოლა და არა პარტიების დასჯა

**თან არხეინი ცხოვრება გინდა, ფული გინდა გქონდეს, ხელფასს იღებდე და არაფერს აკეთებდე – გადასარევი სამსახური მოძებნა ზოგიერთმა პარტიამ საკუთარი თავისთვის. კეთილი ინებე და იმუშავე, აკეთე ის, რისთვისაც ხალხმა მანდატი მოგცა,** – ამის შესახებ „მოქალაქეების“ ლიდერმა, ალეკო ელისაშვილმა განაცხადა.

**„როცა ხალხი გირჩევს, მანდატს გაძლევს და პარლამენტში არ შედიხარ, მაგრამ დაფინანსებას იღებ, ეს ასე არ უნდა ხდებოდეს. მართალია, ეს წესი 2022 წლიდან გავრცელდება, რომ პოლიტიკურ ანგარიშსწორებად არ ჩაითვალოს, მაგრამ მე ახლა გავრცელების მომხრეც ვარ. ანუ, რას ნიშნავს – აგირჩიეს, პარლამენტში არ დადიხარ და გეზარება, მაგრამ ფულს იღებ. მაშინ, იმ ფულსა და ხელფასზეც თქვი უარი. ეს იქნება სწორი. ეს არის უპასუხისმგებლობასთან ბრძოლა და არა პარტიების დასჯა“,** – განაცხადა ელისაშვილმა.

## ნიკა მელია, როგორც პოლიტიკოსი, დასრულებულია!

**„რადგან მასზე უფროსი ვარ და მგონია, რომ კარგია, ახალგაზრდა პოლიტიკოსები შემოვიდნენ პოლიტიკურ სცენაზე, არაერთხელ, მის დაკავებამდე და პატიმრობის განმავლობაშიც მივეცი ინტერვიუ და გავაკეთე განცხადებები იმის გამო, რომ ის ამას შეისმენდა, ვინაიდან, როგორც ვიცი, და ეს კარგად მომესხენება, ყველა საკანში არის წვდომა ტელევიზიაზე. მას ჰქონდა წვდომა ტელევიზიაზე, როცა მე ვიყავი მინისტრი და დარწმუნებული ვარ, მერეც ჰქონდა. ამიტომ ის უსმენდა, მაგრამ არ შეისმინა. მე ვამბობდი, რომ საჭიროა გირაოს გადახდა, საჭიროა კანონმორჩილება იმისთვის, რომ პოლიტიკოსად შედგე. მან ეს ვერ მოისმინა, ეს არ შეისმინა. სამწუხაროდ, ალბათ, არ გაიგო სხვა რჩევებიც კეთილი ადამიანების, რომლებიც მისი ოჯახის წევრები და მეგობრები არიან. შესაბამისად, დღეს, სამწუხაროდ, ის არის დასრულებული, როგორც პოლიტიკოსი. ამიტომ, თქვენ რომ მეკითხებით, რას ფიქრობო, ეს ჩემთვის არის აბსოლუტურად მეასეხარისხოვანი, რადგან ჩვენ უკვე წარსულის ახალგაზრდა პოლიტიკოსზე ვსაუბრობთ“,** – უთხრა ჟურნალისტებს თეა წულუკიანმა.

# დიდი უნამუსობა,

## ანუ ხალხს ნაციონალთა მასხარაობა ყელში ამოუვიდა!..

**„ქართველი ხალხი ყველას სახეში შეაფურთხებს, ვინც ამ ე.წ. პარლამენტში შევა“, – ეს მიხეილ სააკაშვილის განაცხადებაა, რომელიც მან მე-10 მოწვევის პარლამენტში ოპოზიციის შესაძლო შესვლის პრევენციისთვის გააკეთა. თუმცა 8 მაისს პარლამენტში „ნაციონალურ მოძრაობას“ შესვლის არ შერცხვენია და საკანონმდებლო ორგანო ენმ-ის 32 დეპუტატმა ყველანაირი დისკომფორტის და სინდისის ქენჯნის გარეშე შეაღო.**

**თავის დროზე, ნიკა მელიაც ამბობდა, რომ ოპოზიციიდან, ვინც პარალმენტში შესვლას გაბედავდა, ის უბრალო ნივთი ან პუფი იქნებოდა, ხოლო „მოქალაქეების“ ლიდერს, ალეკო ელისაშვილს პარლამენტიდან ფეხით გამოთრევით ემუქრებოდნენ. 8 მაისს პარალმენტში მისულ მელიას ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვას – გრძნობს თუ არა ის თავს პუფად, მელიამ კომენტარი არ გააკეთა.**

ასე რომ, ყველაზე „პრინციპული, შეუპოვარი და მებრძოლი“ პარტია, რომელიც არც ერთ სიტყვას არ ღალატობს, უკვე „არალეგიტიმურ“ პარალმენტში იმყოფება. მოქმედებს ისე, როგორც თავის პარტიას და პოლიტიკურ დღის წესრიგს სჭირდება – ქუჩაში მარტო დარჩენილი ნაციონალები, ევროპიდან თუ ამერიკიდან, ორმხრივ ცეცხლში მოექცნენ და უკვე უჭირდათ იმის მტკიცება, რომ რუსული სცენარით არ თამაშობდნენ.

ნაციონალებს, რომლებმაც ქუჩაში 7-თვიანი ბრძოლის მიუხედავად, არჩევნების გაყალბება ვერ დაამტკიცეს, ვერც ნიკა მელიას პატიმრობამ უშველა, რის შემდეგაც იძულებული გახდნენ, ყველა ღირებულებებისთვის და პრინციპებისთვის ხელი ეკრათ და თავქუდმოგლეჯილი პარლამენტში გაქცეულიყვნენ.

**და მაინც, რატომ შევიდა „ნაციონალური მოძრაობა“ პარალმენტში?** – ნაწილი ამბობს, რომ მე-10 მოწვევის პარალმენტის დასაშლელად, ნაწილი კი მიზეზად მუშაობას ასახელებს. თუმცა პარლამენტის ლეგიტიმურობას მაინც არ აღიარებენ. „ოცნება“ კი თავის მხრივ ნაციონალებს პირდება, რომ კუთხეში მუდმივად თავჩაღუნულები იდგებიან.



ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** აცხადებს, რომ საქართველოს, ერთმანეთის მიყოლებით, ევროპელი და ამერიკელი მეგობრები სტუმრობენ, რომლებსაც საქართველოზე გული შესტკივათ. ამიტომ მათი შეხედულება საინტერესო იქნება, როგორ უყურებენ ენმ-ის განცახდებებს, რომლებიც ერთი მხრივ შარლ მიშელის დოკუმენტს იყენებენ, რათა მელია ციხიდან გამოვიდეს და მართლმსაჯულებას ხელიდან დაუსხლტეს და მეორე მხრივ, მას ხელს არ აწერენ. ანუ ტორტის ერთობლივ გაჭრაზე უარს ამბობენ, მაგრამ ტორტზე დალაგებულ მარწყვებს მირთმევენ.

ქართველიშვილი ამბობს, რომ იმის მაგივრად, პასუხისმგებლობის ახალ ეტაპზე გადავიდნენ და ევროპელი კოლეგების წინაშე ვალდებულება იგრძნონ, პოზაში დგებიან და დოკუმენტზე ხელმოწერაზე უარს ამბობენ. ამნისტიის კანონს ბლოკავენ, რომელიც შეიძლება თავად „ოცნებასაც“ გულზე დიდად არ ეხატებოდეს, თუმცა აღებული პასუხისმგებლობის შესრულება უნდათ. ამ ფონზე კი ენმ-ის განცახდება, რომ პარლამენტში შედიან და მის ლეგიტიმურობას არ ცნობენ, დიდი უნამუსობაა. ანალიტიკოსი კითხულობს, მაშინ ხელფასს რატომ იღებენ, ან სხვა დაფინანსებას... ის ფულიც ყალბია?

**„ძალიან მინდა მათი პარლამენტში მუშაობის რაიმე კონსტრუქციული როლი ვნახო, გნებავთ წარსულიდან და გნებავთ დღევანდელობიდან. არ მახსოვს, რომ „ნაციონალებს“ სახელმწიფო ამოცანების გადაწყვეტაში რამე კონსტრუქციული მიდგომა ჰქონოდათ და პირადი ინტერესები გვერდით გადაედოთ. ახლაც პარლამენტში იმიტომ შევიდნენ, რომ მხოლოდ საკუთარი ვიწრო პარტიული გეგმებიდან ამოდიან. ქუჩაში მარტო დარჩენილებს, უბრალოდ, სხვა გზა არ ქონდათ და აბა, რა ექნათ. როგორც დასავლეთის, ასევე საზოგადოების თვალში პოლიტიკურად კოტრდებოდნენ და ახლა ამ დესტრუქციულ ქცევას პარლამენტში განაგრძობენ.**

**7 თვე ქუჩაში იყვნენ და პარლამენტს მიღმა რაიმე სახელმწიფოებრივი გაუკეთებიათ? ქვეყნის ჯანჯღარის და უკან დაწევის მეტი არაფერი უქნიათ. სოციალურ პოლიტიკასთან ან ჯანდაცვის საკითხებთან მიმართებაში რამე სერიოზული შენიშვნები ჰქონიათ? უბრალოდ, რომ ეთქვათ, ამ პარლამენტს არ ვცნობთ, მაგრამ ქვეყანაზე გული შეგვტკივა და რჩევებს გთავაზობთო? – მსგავსი არაფერი ყოფილა. ამ ხალხს ქვეყნის და ხალხის ბედი არ აღელვებთ. ამიტომ ამ მავნებლობას ახლა საკონსტიტუციო ორგანოში განაგრძობენ. კარგი ისაა, რომ ოპოზიცია მიხვდა ესენი ვინც ბრძანდებიან და მათი სექტა ამომრჩეველიც ამაში მალე დარწმუნდება, თუ მათი დიდი ნაწილი უკვე გაქცეული არაა“,** – ამბობს ქართველიშვილი.

* * *

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** კი ამბობს, რომ რასაც პროგნოზირებდნენ, ის ახდა, რომ ამას დიდი წინასწარმეტყველება არ უნდოდა, რადგან „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები შეშინებული, დარცხვენილები, პარლამენტის გვერდითა და უკანა კარებიდან რომ შეიპარებოდნენ, ნათელი იყო. „ნაცმოძრაობის“ კოლექტიური სახელი პუფი გახდა, რომელიც ფეხების დასაწყობად ან დასაჯდომად გამოიყენება და ენმ-იც ქართულ პოლიტიკაში სწორედ ამ ფუნქციად იქცა. ყველაფერი უკან ისე შემოუბრუნდათ, რასაც სხვებზე ამბობდნენ.

**„ღიმილის მომგვრელია მათი პარლამენტში ვითომ შესვლის მოტივაცია, რომ ივანიშვილს სიცოცხლე უნდა გაუმწარონ და ვითომ გაყალბებული და არალეგიტიმური პარლამენტის ლეგიტიმაცია მოახდინეს. თუ არ ცნობდნენ, რატომ შევიდნენ? ამ პარტიას პრინციპულობა, ადეკვატურობა და თანმიმდევრულობა არ გააჩნია. იქიდან გამომდინარე, რომ ყველანაირად გაკოტრებულები არიან, განსაკუთრებით კი დასავლეთის თვალში, ყურადღების მისაქცევად მორიგ საცირკო ნომრებს მოაწყობენ. იქნება გარკვეული დებოშის მოწყობის მცდელობა, რაც ამ პარტიას კიდევ უფრო დასაცინს გახდის. ასევე მათ შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელის მოწერა მოუწევთ. გუშინწინ კიდევ ერთი დასავლელი მაღალჩინოსანი იყო და პირდაპირ უთხრა, რომ ხელი უნდა მოაწეროთ, სხვაგვარად საქართველოს რეფორმირება და წინსვლა შეუძლებელიაო“,** – ამბობს აბაშიძე.

მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ რეალობას ვერ აღიქვამს. ყველაზე სერიოზული და საინტერესო ბრძოლა იქნება, რაც კი აქამდე ქვეყანაში თვითმმართველობის არჩევნები ჩატარებულა. ამიტომ ახლა ყველა ამომრჩევლის გულის მოგებაზეა გადასული და საზოგადოების პრობლემებზე ორიენტირება უნდა მოხდეს. ამ ცირკაობით კი „ნაციონალები“ წინ ვეღარ წავლენ.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# ირაკლი ქადაგიშვილი: გამაღიზიანებელი განცხადებების გარდა, ნიკა მელია ვერავითარ რადიკალურ ქმედებებს ვერ განახორციელებს!

**„არალეგიტიმური, დემოკრატიის პროცესის იმიტაცია, თოჯინების თეატრი“ – ასე მოიხსენიებდნენ საქართველოს ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი თანაგუნდელები საკანონმდებლო ორგანოს. გუშინ, კი „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში სრული შემადგენლობით გამოცხადდა.**

**თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამომრჩეველს, რომელსაც ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებდნენ, სწორედ ამ ამომრჩევლის სირცხვილის დერეფანს თავი აარიდეს და პარლამენტში უკანა კარიდან შევიდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ საკანონმდებლო ორგანოში პირველსავე დღეს „შატალოს“ მოწყობა უნებლიედ მაინც მოუხდათ და პირველივე სესიაზე დაადგვიანდათ, უფრო სწორად, უკვე დასრულებულზე მივიდნენ.**

**რას ელიან დეპუტატები პარლამენტში შესული „ნაციონალური მოძრაობისგან“ და რა ფუნქცია-მოვალეობა ექნებათ შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერის გარეშე, for.ge-ს კითხვებს, მმართველი გუნდის წევრი, ირაკლი ქადაგიშვილი პასუხობს.**

„ნაციონალური მოძრაობის“ პარლამენტში ყოფნა პარლამენტის სრულფასოვანი ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელის მოწერის გარეშე, მათი ყოფნა დესტრუქციაზე ორიენტირებული იქნება. ეს, საბოლოო ჯამში, ისევ მათ საზიანოდ იმუშავებს. ადრე თუ გვიან, „ნაციონალებს“ მაინც მოუწევთ შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელის მოწერა. ამასაც გარკვეული დრო სჭირდება იმის გასააზრებლად, რომ მათი გაძალიანება უაზრობაა.

**– „ნაციონალური მოძრაობა“ ჯერჯეობით ჯიუტობს და ხელს არ აწერს მიშელის დოკუმენტს, როგორ ფიქრობთ ის დესტრუქცია, რომელსაც ქუჩაში ყოფნის დროს აწყობდნენ, ახლა პარლამენტში ხომ არ გადმოიტანენ?**

– საერთოდ, ის დამანგრეველი აზრი, რაც მათ ჰქონდათ, რომ ქვეყანაში გადატრიალება მოეხდინათ, ეს საბოლოოდ ჩაიფუშა. აქ საუბარია იმაზე, რომ ახლა ისინი ცდილობენ ელემენტარულად, დესტრუქციული დღის წესრიგი პარლამენტში ჰქონდეთ. ამის იქით მათი მცდელობა ვერ გავა. ასე რომ, ამით შემოიფარგლება „ნაციონალების“ პოლიტიკური შესაძლებლობები – დესტრუქცია და ხმაური.

**– აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები საკუთარ ამომრჩეველს მოუწოდებდნენ აქციებზე გამოსვლისკენ, დღეს კი, როდესაც პარლამენტში შემოვიდნენ, სწორედ საკუთარ ამომრჩევლებს დაემალნენ და საკანონმდებლო ორგანოში უკანა კარიდან შემოვიდნენ. როგორ ფიქრობთ, რატომ მოიქცნენ ასე?**

– მათი პოლიტიკური ფსიქოლოგია ძალიან დაზიანებულია. საზოგადოებას ეუბნებოდნენ, რომ ჩვენ ამ პარლამენტში არ შევალთ, ჩვენ ამ პარლამენტს დავანგრევთ, ამას ვიზამთ, იმას ვიზამთ და პარლამენტის უკანა შესასვლელიდან ჩუმ-ჩუმად შემოვიდნენ. ეს ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს იმაზე, თუ რა მდგომარეობაში არიან.

**– ნიკა მელია, რომელსაც პარლამენტმა სადეპუტატო იმუნიტეტი შეუწყვიტა და შემდეგ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აღმოჩნდა, დღეს კვლავ პარლამენტის წევრია. ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ მან მმართველი გუნდის წევრებზე „ჯავრი იყაროს“?**

– ნიკა მელიას რა რადიკალური ქმედებები შეიძლება ჰქონდეს?! შეიძლება რაღაც გამაღიზიანებელი განცხადება გააკეთოს, მაგრამ ვერანაირი რადიკალური ქმედებები ვერ ექნება. მათი დღის წესრიგი იქნება, პარლამენტში კამერების წინ ხმაურისა და დესტრუქციის წარმოდგენა. ამით შემოიფარგლება მათი საპარლამენტო ცხოვრება.

**– ამნისტიის კანონის განხილვა გადადეთ, რადგან სესიას „ნაციონალური მოძრაობა“ არ ესწრებოდა. რა ფორმით მიიღება აღნიშნული კანონი და ოპოზიცია რამდენად დათანხმდება მმართველი გუნდის მიერ შედგენილ ამინისტიის კანონს?**

– ჩვენ გვინდა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამნისტიის კანონის შესახებ თავისი აზრი გამოთქვას, რათა შემდეგ არ თქვან, რომ კანონი ისე მიიღეს, ჩვენ იქ არ ვიყავითო. გვინდა, რომ ისინი დარბაზში იყვნენ. თუმცა, ისიც ვიცით, რომ წინააღმდეგნი იქნებიან. ჩვენ შარლ მიშელის დოკუმენტს თანმიმდევრობით შევასრულებთ.

**– აუცილებლად უნდა შევეხოთ ექს-პრემიერ გიორგი გახარიას ოპოზიციაში დაბრუნებას. რას იტყვით, ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებაზე და ასევე, როგორ ფიქრობთ რამდენად იყო გახარია ინფორმირებული, რომ სახელმწიფოს გადატრიალება იგეგმებოდა?**

– ზოგადად ვიტყვი, რომ გახარიას ქმედება აბსოლუტურად გაუმართლებელი იყო, იმიტომ, რომ გუნდთან შეხვედრის დროს სხვა რამეს ამბობდა, ხოლო როდესაც საქმე აღსრულებაზე მიდგა, მან მოულოდნელად უკან დაიხია და თანამდებობა დატოვა. მარტო გუნდი კი არა, მთელი ქვეყანა მძიმე განსაცდელის წინაშე დააყენა. რა თქმა უნდა, მის ასეთ ქმედებას გამართლება არ აქვს.

**– როგორ ფიქრობთ, თუ გიორგი გახარიას ინფორმაცია ჰქონდა, რომ იგეგმებოდა სახელმწიფო გადატრიალება, გუნდთან რატომ დამალა, რატომ არ გაიარა კონსულტაცია და რატომ არჩია გადადგომა?**

– ვფიქრობ, ბევრი მიზეზი შეიძლება იყოს. შეიძლება ადგილი რაღაც გარიგებასაც ჰქონდეს. ამავდროულად, მგონია, რომ მაინც მას შიში დაეუფლა.

**– რის შიში დაეუფლა?**

– პასუხისმგებლობის აღების შიში.

**– „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის რეზონანსული განცხადების შემდეგ, გიორგი გახარიას თანაგუნდელებმა მის წინააღმდეგ პროკურატურაში განცხადება შეიტანეს...**

– მათ რომ კონკრეტული პასუხი არ გააჩნდათ, იფიქრეს, პროკურატურას ავკიდოთ ამ საკითხის გარკვევის ტვირთიო. ამ დროს, აქ პროკურატურა არაფერ შუაშია, იმიტომ, რომ გახარიას ქმედება იყო პოლიტიკური და მიიღო ამასთან დაკავშირებით შესაბამისი შეფასება „ქართული ოცნებისგანაც“ და ბიძინა ივანიშვილისგანაც...

**ესაუბრა ქეთი გიორგაძე**

# გამოიკვლიონ და დაადგინონ, რატომ ბობოქრობენ სახალხო დამცველი და ეს ამაზრზენი, მართული, პარტიული ტელევიზიები!

**ედიშერ ქარჩავა:**

**საქართველოს საპატრიარქოს იურისტის, ედიშერ ქარჩავას განცხადებით, სასამართლომ, ნინოწმინდის პანსიონიდან ბავშვების გაყვანის შესახებ, დროებითი განჩინება ნაჩქარევად მიიღო, უნდა დავლოდებოდით შეფასებას, დასკვნას და შემდგომ მიგვეღო გადაწყვეტილება. მისი თქმით, ჯერ კომპეტენტურ ორგანოებს შეესწავლათ, შესაბამისი დასკვნები დაედოთ და ამის მერე მიღებულიყო გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში, თუ დაუყოვნებლივ გაყვანის აუცილებლობა დადგებოდა, თავად სახელმწიფო სტრუქტურა მიიღებდა ამის შესახებ გადაწყვეტილებას.**

**დღეს ედიშერ ქარჩავა გვესაუბრება.**

**სასამრთლოს გადაწყვეტილებით ბავშვები გაიყვანეს პანსიონიდან...**

— მე, რამე კანონდარღვევა ვერ აღმოვაჩინე, მაგრამ ერთი რამ, რაც გავარკვიე, ბავშვების აბსოლუტურ უმრავლესობას ჰქონდა მობილური ტელეფონი. საუბარია იმ ასაკის ბავშვებზე, რომლებსაც შეუძლიათ გამოიყენონ ტელეფონი. გადავამოწმე და 24-საათიან რეჟიმში იყო ეს ტელეფონები ჩართული. პროფესიული თვალსაზრისით მაინტერესებდა და გადავამოწმე, დავრეკე და მიპასუხეს. ასევე, ამ ბავშვებს კონტაქტი აქვთ მშობლებთან. თუ იქ სისტემურ კანონდარღვევას, ან გადაცდომას ჰქონდა ადგილი, ეს ხომ აუცილებლად გახმაურდებოდა?

**— ეს გამორიცხავს ერთეულ გადაცდომას?**

— მე არ გამოვრიცხავ ცალკეულ გადაცდომას. თვითონ პანსიონი, სკოლა და ნებისმიერი დაწესებულება, სადაც ბავშვები არიან, ცოცხალი ორგანიზმია, შეიძლება რაღაც ვითარებაში მოხდეს გადაცდომა, ურთიერთობის მიუღებელი ფორმით განხორციელება, რაც სტანდარტებს ეწინააღმდეგება, რასაც ვერავინ, ვერასოდეს გამორიცხავს. მაგრამ, ის, რომ ეს ბავშვები არიან ჩაგვრის ობიექტნი, მსგავსი ვერაფერი ვერ დავინახეთ. თუ არის, ან იყო ცალკეული შემთხვევები, ამაზე კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა იმსჯელონ, გამოიკვლიონ და დაადგინონ, არის თუ არა გადაცდომის რამე ნიშნები.

**— მაშინ, ვინ არიან ის ბავშვები, რომლებიც საუბრობენ ძალადობაზე და როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ეს მართული პროცესი?**

— ჩვენ ეს ჯერ არ ვიცით. არაერთხელ ვთქვი, რომ სახე დაფარული და ხმა გადაკეთებული ბავშვების იდენტიფიცირება ჩვენ არ შეგვიძლია. ამისთვის არსებობენ სოციალური მუშაკები, სამართალდამცავი ორგანოები, თუ რამე კანონდარღვევას აქვს ადგილი, ყველამ უნდა ითანამშრომლოს გამოძიებასთან და მიაწოდოს ეს მასალები, რომ მოხდეს ამ ბავშვების იდენტიფიცირება. სოციალურ მუშაკებთან ერთად გავესაუბრეთ ბავშვებს და რაიმე ისეთი განსაკუთრებული დარღვევა, ან გადაცდომა ვერ აღმოვაჩინეთ.

მე არ გამოვრიცხავ, რომ ერთეული შემთხვევა შესაძლებელია იყოს აღმზრდელსა და ბენეფიციარს შორის, მაგრამ, რა თქმა უნდა, მსგავსი ფაქტები რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს! რაც შეეხება ძველ პრობლემებს, რომელზეც ამბობენ, რომ აღძრულიაო საქმე, ყველა გამოძიებას აქვს თავისი ვადა, ამიტომ თუ დანაშაულის ნიშნები ვერ დადგინდა, ეს არც საპატრიარქოს ბრალია და არც პანსიონის. თუ რამე არის გამოსაძიებელი, კომპეტენტურმა ორგანოებმა გამოიძიონ, დადონ შესაბამისი შედეგი და საპატრიარქო აუცილებლად მოახდენს შესაბამის რეაგირებას. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის პანსიონის ხელმძღვანელი. ვინც არ უნდა იყოს, ნებისმიერი სასულიერო პირი, რომელიც არღვევს კანონით გათვალისწიენებულ მოთხოვნებს, არღვევს ბავშვების უფლებებს, რა თქმა უნდა, ყველამ უნდა აგოს პასუხი. მაგრამ თუ არ არის დარღვევა, მაშინ აქ უკვე მიზანმიმართულ პროვოკაციას ვხედავ და არა რაიმე დარღვევას.

**— მივდივართ მიზანმიმართულობამდე?**

— თუ შენ გინდა საქმიანად გაერკვე და მართლა შეისწავლო, უნდა გვითხრა, რომ თქვენთან არის დარღვევები და გამოსასწორებელია, ეს არის ურთიერთთანამშრომლობა და საქმიანი დამოკიდებულება. მაგრამ თუ შენ მიზანმიმართულად მოდიხარ, რომ პროვოცირება გაუკეთო ვითარებას, შეურაცხყოფა მიაყენო ხელმძღვანელ პირს და ა.შ. რა თქმა უნდა, გამოდის, რომ შენ მიზანმიმართულად დისკრედიტაციას უკეთებ ეკლესიას და მის დაქვემდებარებაში მყოფ იურიდიულ პირებს და მათ შორის პანსიონს.

**— ახლა რა მდგომარეობაა პანსიონში, არიან იქ ბავშვები?**

— პანსიონში დაახლოებით 30-დან 33-მდე ბავშვია დარჩენილი. დანარჩენი გაიყვანეს მშობლებმა და საზაფხული არდადეგებზე გავიდნენ. ეს ფაქტიც მეტყველებს იმაზე, რომ ბავშვებს კონტაქტი აქვთ მშობლებთან. დავუშვათ, პანსიონმა დამალა ინფორმაცია არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, ისინი რომ თავიანთ მშობლებთან დაბრუნდებოდნენ, არ ეტყოდნენ ამის შესახებ? რატომ ითხოვენ ეს ბავშვები ხელახლა პანსიონში დაბრუნებას? ე.ი. კარგი ურთიერთობა აქვთ, ეს ხომ ლოგიკურია.

ბუნებრივია, თუ ბავშვს არ აქვს კარგი დამოკიდებულება, ეტყვის თავის მშობელს, იქ მეორედ არ დაბრუნდება, ეს ხომ ლოგიკური მსჯელობის საგანია? ბავშვი მშობელს არ დაუმალავს და არც მშობელი დამალავს. ამბობენ, რომ პანსიონი დაიცალა, ასე არ არის. ეს არის ჩვეულებრივი ამბავი, როდესაც ბავშვები არდადეგებზე მიჰყავთ მშობლებს და შემდგომ ისევ ბრუნდებიან. ასე რომ, თავისუფლება შეზღუდული არავის აქვს და ამას ფაქტები ადასტურებს.

**— რას ელოდებით გამოძიებისგან, გაქვთ მოლოდინი, რომ გამოძიება იტყვის რეალურად ვინ არიან ეს ბავშვები? ფაქტია, რომ პანსიონის ბავშვებმა ისინი ვერ ამოიცნეს და გაჩნდა ვერსია, რომ ისინი არ არიან პანსიონის აღსაზრდელები...**

— ამ ეჭვის დასაბუთების საფუძველი მომცა თვითონ ამ პანსიონის აღსაზრდელების და მათ შორის იმ ბავშვების მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა, რომელბიც 10 წელი და ზოგი კიდევ უფრო მეტი წელი ცხოვრობდა იქ. ისინი ამბობენ, რომ ჩვენ ეს ბავშვები ვერ ამოვიცანით და ესენი ჩვენთან დაკავშირებული ბავშვები არ არიანო, ამას ამბობენ გულწრფელად, საჯაროდ!

ამიტომ, რა თქმა უნდა, მიჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ვიღაცამ შეგნებულად დაფარა სახე და ასაღებს ისე, რომ თითქოს, ისინი არიან ჩვენი ბენეფიციარები. აქედან გამომდინარე, თუ საჯაროდ ვერ ახდენენ იდენტიფიცირებას, მაშინ მიმართონ შესაბამის ორგანოებს და ის დაადგენს. ამიტომ მივმართე ტელევიზიებს, რომ რაღაცა ფაქტები, რაზეც საუბრობენ, ჩემთვის არ იძლევა დასაბუთებულ ვარაუდს. ეს ორიგინალი მასალები გადაეცეს შესაბამის ორგანოებს და ისინი დაადგენენ ტყუილია თუ სიმართლე.

**ესაუბრა**
**თამთა ქარჩავა**

## ქართული ბიბლიოთეკა და სახელმძღვანელოები დიასპორისთვის

პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე პარიზში დიასპორის ასოციაციებისა და საკვირაო სკოლების წარმომადგენლებს შეხვდა.

**„შეხვედრაზე კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერაზე, ადაპტირებული სასკოლო სახელმძღვანელოების საჭიროებასა და ქართული ლიტერატურის ბიბლიოთეკის შექმნის აუცილებლობაზე ვისაუბრეთ“,** — განაცხადა ელისო ბოლქვაძემ. შეხვედრას საქართველოს დესპანი საფრანგეთში გოჩა ჯავახიშვილი ესწრებოდა.

## გამოცდებისა და შეფასების ცენტრი სპეციალურ პირობას 300-ზე მეტ გამოსაცდელს შეუქმნის

**2021 წელს** **გამოცდებისა და შეფასების ცენტრი სპეციალურ პირობას 300-ზე მეტ გამოსაცდელს შეუქმნის. ამის შესახებ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განაცხადა.**

სოფიო გორგოძემ პირდაპირ ეთერში პასუხი გასცა იმ აბიტურიენტის შესახებ დასმულ კითხვასაც, რომელიც სმენასთან დაკავშირებული პრობლემის გამო, უცხოური ენის მოსმენის დავალების წერითი დავალებით ჩანაცვლებას ითხოვდა.

**„სამწუხაროდ, მსოფლიოში ცნობილი ვერცერთი საგამოცდო ცენტრი ვერ შესთავაზებდა მას წერის დავალების ქულის დაწერას მოსმენის დავალებაში. ეს არსად ხდება. ჩვენ უკვე შევთავაზეთ მას ყველა ვარიანტი, რაც შესაძლებელი იყო: წამკითხველის დახმარება (სიტყვების აღქმა ტუჩების მოძრაობით); საკუთარი სმენის აპარატის შეტანა და ისე მოსმენა, დინამიკთან ახლოს ჯდომა ან კომბინირება, როგორც წამკითხველის, ასევე სმენის აპარატის. პირველ ეტაპზე აბიტურიენტი ფიქრობდა, რომ მისთვის არცერთი შეთავაზება არ იყო ხელსაყრელი, თუმცა ჩვენ მასთან გვაქვს აქტიური კომუნიკაცია, უკვე ორჯერ შევხვდით და ვფიქრობთ, რომ მან გადაწყვიტა ერთ-ერთი ვარიანტი აირჩიოს და ეს სცადოს. წელს 300-ზე მეტ გამოსაცდელს ვუქმნით სპეციფიკურ გარემოს. მაგალითად, მხედველობადაქვეითებულ აბიტურიენტებს ბრაილის შრიფტით ვუბეჭდავთ, ასევე სპეციალური ხმოვანი პროგრამა იწერება მათთვის, დროს ვუმატებთ, შრიფტს ვუზრდით, გარემო შეიძლება შევცვალოთ — ცალკე ოთახში შეიძლება დავსვათ... ასე რომ, ეს პრაქტიკა არსებობს და წელს ვფიქრობ — უფრო დახვეწილი, ვიდრე შარშან“,** — აცხადებს ცენტრის დირექტორი.

2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები პირველ ივლისს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით დაიწყება. 14 ივლისიდან გამოცდებში მასწავლებლები და მასწავლებლობის მსურველი პირები ჩაერთვებიან. 28 ივლისს სტუდენტთა საგრანტო კონკურსი ჩატარდება, ხოლო საერთო სამაგისტრო გამოცდას მაგისტრანტობის კანდიდატები 27-30 ივლისს ჩააბარებენ.

**საკითხი, რომლის გასაჯაროვებაც გადავწყვიტე, თავისი ისტორიით საკმაოდ ხანდაზმულია, მაგრამ არ ნელდება ის ტკივილი და შეურაცხყოფა, რაც პირადად მე და დიდი ქართველი მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის ოჯახს ერგო წილად.**

# ვინ მოატყუა დიდი ზურაბ ანჯაფარიძე?!..

1997 წლის 12 აპრილს გარდაიცვალა ქართველი მომღერალი ზურაბ ანჯაფარიძე, ორი თვის თავზე საქართველოს კულტურის მინისტრმა, ბატონმა ვალერი ასათიანმა გამოსცა ბრძანება იმის თაობაზე, თუ რა უნდა გაკეთებულიყო საქართველოში ზურაბ ანჯაფარიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად. ამ დოკუმენტში აღნიშნული ყველა პუნქტი შესრულდა, გარდა ერთისა, რაც შემდეგს გულისხმობდა: **თბილისის 56-ე სკოლის შენობაში იჯარა-გამოსყიდვის უფლებით გამოყოფილიყო ფართი ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის მუსიკალურ-საგანმანათლებლო ცენტრის განსათავსებლად.**

ამ პუნქტში 56-ე სკოლა მითითებულია, იქიდან გამომდინარე, რომ ზურაბს სიცოცხლეში მოლაპარაკება ჰქონდა ზემოაღნიშნული სკოლის ადმინისტრაციასთან, საკუთრივ ამ სკოლის დირექტორთან, ქალბატონ მანანა პარკაძესთან, რომ სკოლა გამოყოფდა ფართობს იჯარა-გამოსყიდვის უფლებით და იქ გაიხსნებოდა ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის მუსიკალური ცენტრი.

ქალბატონმა მანანა პარკაძემ შესთავაზა ზურაბს, სწვეოდა სკოლას და თავად დაეთვალიერებინა გამოყოფილი ფართობი. იმხანად ზურაბი შეუძლოდ გრძნობდა თავს და შინ მკურნალობდა. ზურაბის თხოვნით, მე წავედი ფართობის სანახავად. ქალბატონმა მანანა პარკაძემ დამათვალიერებინა შენობის მესამე სართულზე მდებარე 50 კვადრატული მეტრის ფართობი, ხედით ზაქარია ფალიაშვილის ქუჩაზე და იქვე დასძინა, რომ საჭირო იყო დროულად გადაგვეხადა სათანადო თანხა, საკუთრივ 3000 ლარი.

**ქალბატონი მანანა მალევე გვესტუმრა შინ და თავად შეხვდა ზურაბს, რომელსაც აღუთქვა ფართობის გადაცემა, ოღონდ მკაცრად გაგვაფრთხილა, რომ ეს თანხა მეორე დღესვე ყოფილიყო გადახდილი.**

**მისი თხოვნისა და მითითების თანახმად, შევხვდი ბატონ ზაზა მარუაშვილს, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე მდებარე სკოლების სამმართველოს უფროსს, რომელმაც დაუყოვნებლივ გამომიწერა 3000 ლარის ქვითარი და მთხოვა მისთვის ჩამებარებინა გადახდის საბუთი. ეს თანხა საკუთარი ხელით შევიტანე ა. პუშკინის ქუჩაზე მდებარე ბანკში, ხოლო თანხის შეტანის შემდეგ ქვითარი გადავეცი ზემოაღნიშნულ სამმართველოში ბატონ ზაზა მარუაშვილს.**

სამწუხაროდ, ზურაბ ანჯაფარიძე მძიმე სენით აღმოჩნდა დაავადებული და მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ზურაბის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში დამიკავშირდა სკოლის დირექტორი მანანა პარკაძე და მაცნობა, რომ ფართობის გამოყოფაზე უარი მელოდა. ბუნებრივია, ეს ჩემთვის იყო მოულოდნელი ელდა, რადგან შინაგანად მოწადინებული ვიყავი, ოჯახისა და ზურაბის კოლეგების დახმარებით გამეგრძელებინა დაწყებული საქმე, მით უმეტეს, რომ სწორედ ზურაბის გარდაცვალების შემდეგ კულტურის მინისტრის მიერ გაცემული ბრძანება 56-ე სკოლის შენობაში ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის ცენტრის გახსნის საკითხსაც მოიცავდა.

მ. პარკაძის ავადსახსენებელი სატელეფონო ზარის შემდეგ ველოდი, რომ მივიღებდი რაიმე სათანადო წერილობით განკარგულებას, თუნდაც უარს, რათა შემდგომში ამის თანახმად მემოქმედა. ასეთი საბუთი დღემდე არ მიმიღია და ამ ორი ათეული წლის მანძილზე არაერთგზის ვითხოვე ბრძანებით გათვალისწინებული სათანადო პუნქტის აღსრულება, რაშიც თანხა ოჯახს გადახდილი ჰქონდა.

**როგორც ჩანს, მავანმა და მავანმა პირადად მე ზურაბ ანჯაფარიძის უმწეო ქვრივად მიმიაჩნია, თავად დიდი მომღერლის სახელი და ხსოვნა აბუჩად აიგდო, ხოლო მინისტრის ბრძანება დავიწყებას მისცა. ამიტომაც იყო, რომ ამ წლების მანძილზე, რამდენჯერაც ვცადე, მიმემართა ამ საკითხზე მ. პარკაძისთვის, პასუხად შეურაცხყოფასა და დამცირებას ვიღებდი. ამდენად, მშვენივრად ვაცნობიერებ, რომ ორმა ათეულმა წელმა კი არ დამაშორა ამ საკითხს და გამინელა ტკივილი, არამედ, ის უფრო გამიმძაფრა და ხანგრძლივ ტანჯვად მიძცია.**

ბოლოს, მიმდინარე წლის 1215 თებერვალს მივმართე საქართველოს განათლების სამინისტროს, რომელმაც ჩემი განცხადება გადაუგზავნა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს. შემდეგ ეს განცხადება გადაეგზავნა მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქალაქ თბილისის 41-ე საჯარო სკოლას, რომელიც 56-ე საჯარო სკოლის მიერთების შემდეგ დაფუძნდა. ამ სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა რეზო ჯავახიშვილმა განმიმარტა საკითხი და მომცა წერილობითი პასუხი, სადაც შავით თეთრზე აღნიშნულია, რომ სკოლის შენობის მესაკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო, ხოლო ჩემს განცხადებაში აღნიშნული ფართობის იჯარა-გამოსყიდვის უფლებით გადაცემის თაობაზე რაიმე სახის ინფორმაცია სკოლის დოკუმენტაციაში არ იძებნება, რის შედეგადაც მოკლებული არიან შესაძლებლობას, მომაწოდონ რაიმე სახის დამატებითი ცნობა.

მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, კარგად მესმის კანონმდებლობის მიხედვით მოქმედების აუცილებლობა, მაგრამ არა ცალმხრივი.

ჩემთვის ნათელია, რომ დღეს ამ ფართობის დაბრუნება შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ ვიღაცამ წლების წინ უკვე იზრუნა სკოლის დოკუმენტაციაში ამ საქმის კვალის გაქრობაზე, მაგრამ, ვინ იზრუნა იმაზე, რომ თანხა უკან დაებრუნებინათ ჩემთვის, მით უმეტეს, მაშინვე, როგორც კი მანანა პარკაძემ უარი მითხრა ფართობის გამოყოფაზე? მაინტერესებს, რა განცდა დაეუფლა იმ დროს ამ უსამართლობის ჩამდენ, თუნდაც ახლად დაფუძნებული სკოლა „ჯეჯილის“ დირექტორს (მანანა პარკაძე იმხანად ერთდროულად იყო 56-ე სკოლისა და მის მიერ დაფუძნებული კერძო სკოლა „ჯეჯილის“ დირექტორი), რომელსაც პრეტენზია ჰქონდა თაობების აღზრდაზე? თაობები თუ არა, შვილი ხომ მაინც თავად აღზარდა, ქალბატონი ნინო ჩივაძე, რომელსაც გადააბარა სკოლა „ჯეჯილის“ დირექტორობა, და რომელმაც, სამწუხაროდ, რამდენიმე წლის წინ ასევე შეუფერებელი და უსამართლო პასუხით გამოისტუმრა სკოლიდან ჩემი წარმომადგენელი იურისტები?

**ჩემი მოთმინების ფიალა, ალბათ, მაშინ აივსო, როდესაც სულ ახლახან მანანა პარკაძეს თავად დავუკავშირდი და ვთხოვე თანხის დაბრუნება, ხოლო მან საკუთარ პასუხისმგებლობას თავი აარიდა იმ მოტივით, რომ ის ხანში შესულია და ფაქტების გახსენება უჭირს, მაგრამ ხელი მაინც დაზუსტებით ზაზა მარუაშვილისკენ გაიშვირა, რომელიც მაშინ სკოლების სამმართველოს განაგებდაო! ისიც დასძინა, რომ მაშინდელი ბუღალტერი უკვე გარდაცვლილია და ამ თანხის დაბრუნებას ვიღა შეძლებსო. მოგეხსენებათ, გადარიცხული თანხა ბუღალტრის კუთვნილებად არ ითვლება, ხოლო ბატონი ზაზა მარუაშვილი დღესაც ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირია განათლების სამინისტროში და სიბერეს არ უჩივის. ჩემს ზარებს ზოგჯერ სატელეფონო შეტყობინებით უპასუხებს, სადაც ზნეობრივ მხარდაჭერას მპირდება(?), მაგრამ იძვე მიბიძგებს, მივმართო სასამართლოს. ახალი სურვილი ხომ არ გაუჩნდა ბატონ ზაზა მარუაშვილს, ზურაბ ანჯაფარიძის ოჯახი კიდევ ახალი ხარჯებისთვის გაიმეტოს?**

მე დღეს არ ვაპირებ მივმართო სასამართლოს, მაგრამ საჯაროდ მივმართავ იმ სათანადო საგამოძიებო ორგანოებს, რომელთაც ეხებათ ამ საკითხის შესწავლა. დე, ჯერ დადგინდეს, რა დონის თაღლითობა იყო ჩემ მიმართ ჩადენილი, ხოლო ზ. მარუაშვილს აზრი შემდეგ მოვკითხოთ.

მინდა, დავიჯერო, რომ ეს 3000 ლარი მ. პარკაძესა და ზ. მარუაშვილს, როგორც თავად ჩემთან საუბარში აცხადებენ, შინ არ წაუღიათ, მაგრამ სახლიდან გავიტანე და მაქვს უფლება მოვითხოვო დაბრუნება. შინ თუ არ წაუღიათ, იქნებ სკოლა „ჯეჯილის“ კეთილდღეობას მოახმარეს? დღეს ეს კერძო სკოლა მ. პარკაძის ქალიშვილის, ნ. ჩივაძის ხელმძღვანელობის ქვეშ მოქმედებს და სათანადო მოგებასაც აძლევს.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვითხოვ – მანანა პარკაძემ და ზაზა მარუაშვილმა დამიბრუნონ ჩემ მიერ გადახდილი თანხა.**

**მე რომ მაშინ დღევანდელი 3000 ლარის სყიდვითი მოცულობის თანხა გამეღო, მერწმუნეთ, მ. პარკაძისა და ზ. მარუაშვილის სირცხვილს ასე არ გამოვამზეურებდი. ამ წერილის მკითხველი იტყვის – რატომაც არაო, და უნებლიედ გაიხსენებს დიდ ილიას და ერთი მამლის გამო სამართლის მძებნელ ოთარაანთ ქვრივს! მაგრამ ჩემს შემთხვევაში მაშინდელი 3000 ლარი ერთ მამლად არ ფასობდა. ეს თანხა იმხანად თბილისში ბინას ყიდულობდა.**

**როგორც ვხედავთ, ამ ხნის მანძილზე ქვრივების მოტყუების ფინანსური ტევადობა საგრძნობლად გაზრდილა, რაც, იმედია, თაღლითების მიმართ კანონიერი ძმედებების განხორციელების გაზრდას დაიმსახურებს...**

**მარინა მაჭავარიანი-ანჯაფარიძისა,**
ფილოლოგიის დოქტორი.
ტ. 599 46 49 25

# ქართული კულტურის 12 პრიორიტეტული მიმართულება

**კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა კულტურის სფეროს ის პრიორიტეტული მიმართულებები დაასახელა, რომლებსაც სამინისტრო „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში დააფინანსებს. ამ საკითხთან დაკავშირებით თეა წულუკიანმა უწყებაში ბრიფინგი გამართა. მინისტრმა აღნიშნა, რომ სამინისტრომ 12 პრიორიტეტული მიმართულება გამოყო: რომლებიცაა:**

1. ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობა;
2. ქართული თეატრისა და თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა;
3. ქართული პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა;
4. ქართული კინოს ხელშეწყობა;
5. სახვითი და თანამედროვე ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა;
6. სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა;
7. ქართული ფოლკლორის ხელშეწყობა;
8. კულტურაზე ხელმისაწვდომობა;
9. მნიშვნელოვანი კულტურული და საფესტივალო ღონისძიებები;
10. ინოვაციური და თავისუფალი პროექტები;
11. კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა;
12. COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ზიანის შემცირება.

**სამინისტრო პრიორიტეტული ჯგუფებისთვის დაფინანსებაზე განაცხადების მიღებას დღეიდან იწყებს.**

## როცა ხალხის აზრი გადამწყვეტია!

# ნამახვანჰესი ძველი პროექტით აღარ აშენდება!

**ნამახვანჰესი არსებული პროექტით აღარ აშენდება – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 9 ივნისს ჟურნალისტებს უთხრა. ღარიბაშვილის თქმით, პირობა, რომ ჰესი ინვესტორს 100 წლით გადაეცემოდა, მას, როგორც პრემიერ–მინისტრს, მემკვიდრეობით დახვდა და ქვეყნისთვის სასიკეთოდ გადაიხედება.**

433 მგვტ დადგმული სიმძლავრის ნამახვანჰესის მშენებლობას ადგილობრივი მოსახლეობა 200 დღეზე მეტია აპროტესტებს. მათი ნაწილისთვის ზოგადად ჰესია მიუღებელი, ნაწილისთვის კი კონტრაქტის პირობები, მათ შორის ტარიფი, უსაფრთხოების არსებული გარანტიები და თავად ხელშეკრულების ხანგრძლივობა.

ჰესის მოწინააღმდეგე აქტივისტების მხრიდან ყველაზე მეტი კითხვა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ისმება. აქტივისტების მტკიცებით, მიწისძვრის შემთხვევაში კაშხალი ჩამოინგრევა და ქუთაისს 34 მეტრის სიმაღლის ტალღა წალეკავს, რასაც მშენებელი კომპანია ENKA კატეგორიულად არ ეთანხმება.

ნამახვანჰესის პროექტზე მუშაობა 70-იან წლებში დაიწყო. ტექნიკურ-ეკონომიკური რეზიუმე ჯერ 2007 წელს პოლონურმა „ჰიდროდიზაინმა," შემდეგ 2011 წელს შვეიცარიულმა „შტუკმა," 2013-2014 წლებში კი იტალიურმა „StudioIng. G. Pietrangeli"-მა მოამზადა.

ჰესი კასკადურია და 2 წყალსაცავისგან შედგება. ქვემო ნამახვანის სიმძლავრე 333 მგვტ, სარკის ფართობი – 5.1 კვადრატული კილომეტრი და ზემო ნამახვანის სიმძლავრეა 100 მგვტ, სარკის ფართობი – 1 კვადრატული კილომეტრი. სავარაუდო ჯამური წლიური გამომუშავება 1.560 მლრდ კვტ/სთ, რაც წლიურად 750 000 ტონა $CO_2$-ის გამოფრქვევის ალტერნატივას ნიშნავს. საინვესტიციო ღირებულება $800 მლნ-ს შეადგენს. ჰესი მაგნიტუდით 7.0 სიმძლავრის მიწისძვრაზეა გათვლილი. ჰესს თურქული ENKA აშენებს, რაც მოწინააღმდეგეებისთვის დამატებით არგუმენტს წარმოადგენს.

ტარიფთან დაკავშირებით მთავრობა აცხადებს, რომ 6.2 ცენტი პიკური ფასია, საშუალო შეწონილი კი 4.91 ცენტს შეადგენს, ხოლო 15 წლიანი საშუალო 5.74 ცენტს. ნამახვანჰესი 2023 წელს უნდა დასრულებულიყო. თარიღმა გაურკვეველი ვადით გადაიწია.

სხვა ჰესების მსგავსად, ნამახვანიც უაღრესად პოლიტიზირებულია. ის ადამიანები, რომლებიც დღეს ქართულ ოცნებაში არიან, 10 წლის წინ დაგეგმილ ჰესების მშენებლობას უპირისპირდებოდნენ, დღეს ემხრობიან. დამოკიდებულება შეიცვალა მესამე პრეზიდენტმაც, რომელიც არამხოლოდ ნამახვანს, ნენსკრასა და ხუდონჰესის მშენებლობასაც გეგმავდა, ხოლო ახლა ქარის ტურბინებისა და მზის პანელების განთავსების იდეით გამოდის.

ფასების ვარდნის გამო, ელექტროენერგიის გენერაციაში გლობალური მასშტაბით მზისა და ქარის ენერგიების წილი მართლაც მნიშვნელოვნადაა გაზრდილი და ჯამურად 10%-ს აჭარბებს, როდესაც საუკუნის დასაწყისში 1%-იც არ იყო.

ამჟამინდელი მონაცემებით საქართველოს ეკონომიკურად მომგებიანი ქარის ენერგიის პოტენციალი 1350 მეგავატია, მზის – 500. მათ ჯამში 4 მლრდ კვტ/სთ-ის გამომუშავება შეუძლიათ, მაგრამ ამ პოტენციალის ათვისებისთვის მარეგულირებლიანი სადგურების არსებობაა აუცილებელი. მზე გარდა იმისა, რომ ღამე არ ანათებს, მისი სადგურის სიმძლავრე დღის განმავლობაში ღრუბლიანობის ცვალებადობის დროსაც იცვლება, რაც ქსელში პრობლემებს ქმნის.

**მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში, ენერგიაზე მოთხოვნა იზრდება, საქართველოში გენერაციაზე სწრაფად, რაც ქვეყანას მეზობელ სახელმწიფოებზე, მათ შორის რუსეთზე დამოკიდებულს ხდის. 2010 წელს საქართველოში არსებული ელექტროსადგურების ჯამურმა გენერაციამ 10.058 მლრდ კვტ/სთ შეადგინა, მოხმარებამ – 8.441 მლრდ კვტ/სთ. 2020 წელს გენერაციამ 11.160 მლრდ კვტ/სთ-ს მიაღწია, ხოლო მოხმარებამ 12.157 მლრდ კვტ/სთ-ს. 10 წელიწადში გამომუშავება 11%-ით, ხოლო მოხმარება 44%-ით გაიზარდა. მოხმარების ზრდის ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში 2030 წელს მოთხოვნა 17.506 მლრდ კვტ/სთ-ს მიაღწევს. თუ გენერაცია მხოლოდ 4 მლრდ კვტ/სთ-ით გაიზარდა, მაშინ იმავე 2030 წელს გენერაცია 15.160 მლრდ კვტ/სთ-ს, დეფიციტი კი 2.346 მლრდ კვტ/სთ-ს მიაღწევს, ამჟამინდელზე 2.34-ჯერ მეტს. თუ სასადგურე და ქსელის დანაკარგებსაც გავითვალისწინებთ, დეფიციტი კიდევ უფრო მეტი იქნება და 3 მლრდ კვტ/სთ-ს გადააჭარბებს. იმ შემთხვევაში თუ ახალი ელექტროსადგურები საერთოდ არ აშენდა, რეალური დეფიციტი 7 მლრდ კვტ/სთ-ს გადააჭარბებს.**

დღეს საქართველოში ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომლის დროსაც, ადამიანთა დიდი ნაწილი და შესაძლოა უმრავლესობაც, ჰესების წინააღმდეგაა განწყობილი. ეკოლოგიურ თემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებით, ისინი გიგანტურ ჰესებს ეწინააღმდეგებიან და მცირე ჰესებთან, პრობლემა არ აქვთ, თუმცა ნებსით თუ უნებლიეთ, პრობლემები გაცილებით მცირე ზომის ჰესებსაც ეხება. 2019 წლის აპრილში პანკისში სულ რაღაც 5.4 მეგავატი სიმძლავრის „ხადორი – 3-ჰესის" მშენებლობის დაწყებას დაპირისპირება მოჰყვა. ხელჩართული ჩხუბისა და აქციებზე სროლის შედეგად 55 ადამიანი, მათ შორის 38 პოლიციელი დაშავდა. ასევე დაზიანდა პოლიციის ავტომობილები და ჰესის მშენებელი კომპანიის ტრაქტორი. საბოლოოდ სახელმწიფომ უკან დაიხია და ჰესი არ აშენდა.

დიდი ჰესებიდან ნამახვანის გარდა ასევე შეჩერებულია ნენსკრას მშენებლობაც. ხუდონჰესი კი არც განახლებულა, რომელიც სხვა პროექტებისგან იმითაც გამოირჩეოდა, რომ მისი აშენების შემთხვევაში ენგურჰესის გენერაცია 500 მლნ კვტ/სთ-ით გაიზრდებოდა.

**დღეს არსებული მონაცემებით, საქართველოში ენერგეტიკაში განსახორციელებელი $4 მლრდ-ის ინვესტიციაა დაპაუზებული. შედარებისთვის, გასულ წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 6.5-ჯერ ნაკლები, მხოლოდ $617 მლნ შეადგინა.**

**საქართველოში ასაშენებელი ჰესების შემთხვევაში სიტყვა „გიგანტურის" ხსენება რამდენად მართებულია, საკამათოა. თუ 433 მეგავატიანი ნამახვანი გიგანტურია, მაშინ რა უნდა ეწოდოს მასზე 52-ჯერ უფრო მძლავრ 22.5 გიგავატიან (30 მლნ ცხენის ძალა) „სამი ხეობის კაშხალს" რომელმაც 2020 წელს 112 მლრდ კვტ/სთ გამოიმუშავა, რაც იმავე წლის საქართველოს ჯამურ ჰიდროგენერაციას 1260%-ით აღემატება?**

**ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასებისას საინტერესოა კიდევ ერთი გარემოების გათვალისწინება. ბოლო ათ წელიწადში საქართველოში 2 დიდი თბოსადგური – „გარდაბანი 1" და „გარდაბანი 2" აშენდა. თითოეულის სიმძლავრე 230 მგვტია, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე მძლავრ 187 მეგავატიან შუახევი ჰესზე მეტია. თბოსადგურები წლიურად მინიმუმ 600 მლნ კუბურ მეტრ იმპორტირებულ ბუნებრივ გაზს საჭიროებენ, რაც გარემოსთვის ბევრად უფრო მეტი ზიანის მომტანია, ვიდრე ჰესი, მაგრამ თბოსადგურების მშენებლობა არავის გაუპროტესტებია.**

**გიორგი ელიზბარაშვილი**

## ნათია თურნავა: „ნამახვანჰესის" პროექტი მხოლოდ გაუმჯობესებული და უსაფრთხო სახით განხორციელდება

**„ნამახვანჰესის" პროექტი, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის და სახელმწიფოს აძლიერებს ენერგეტიკული კუთხით, მხოლოდ გაუმჯობესებული და უსაფრთხო სახით განხორციელდება,** – ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის განახლებული ტერმინალის გახნის შემდეგ მედიასთან საუბრისას „ნამახვანჰესთან" დაკავშირებული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

მინისტრის თქმით, საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ნამახვანჰესის კაშხლის მშენებლობაზე 12-თვიანი მორატორიუმი გამოცხადდა და ამ დროის განმავლობაში, ყველაფერი უნდა გაკეთდეს პროექტის გაუმჯობესებისთვის.

**„ამ მიზნით ექსპერტები უკვე მუშაობენ – 15-მდე სხვადასხვა ექსპერტულმა ორგანიზაციამ გაიწვია ის კვლევები, რაც გვქონდა ერთი თვის წინ გამოქვეყნებული. ველოდებით მათ უკუკავშირს, თუ რა აღმოაჩინეს კვლევებში, რაც დამატებით სამუშაოებს საჭიროებს. ყოველ შემთხვევაში, კაშხლის მშენებლობა არ დაიწყება მანამ, ვიდრე ყველა არ დარწმუნდება, რომ ეს ნაგებობა არის განსაკუთრებით უსაფრთხო",** – აღნიშნა ნათია თურნავამ.

მისივე თქმით, ასევე მიდის მუშაობა ინვესტორთან, რათა მოხდეს პირობების გაუმჯობესება და პირველ რიგში, ეს უკავშირდება ხელშეკრულების იმ ნაწილს, რომელიც მიწის იჯარის ვადას – 99 წლით გადაცემას ეხება.

**„მართალია, 99 წლით იჯარით გადაცემა შეესაბამება კანონმდებლობას, მაგრამ დავინახეთ, რომ ამასთან დაკავშირებით არის აზრთა სხვადასხვაობა საზოგადოებაში და ვფიქრობთ, რომ ამ ნაწილშიც უნდა მივაღწიოთ პროგრესს. როცა გვექნება საბოლოო გადაწყვეტილება, ამას გავახმოვანებთ. სხვა დანარჩენში, რასაკვირველია, ეს პროექტი მნიშვნელოვანია, ის ენერგეტიკულად აძლიერებს სახელმწიფოს, მაგრამ გაუმჯობესებული და უსაფრთხო სახით განხორციელდება"...**

## ზურაბ ნოღაიდელი: საქართველო უნდა გახდეს ენერგეტიკულად თვითკმარი ქვეყანა

**საქართველო** **უნდა გახდეს ენერგეტიკულად თვითკმარი ქვეყანა. საამისოდ მცირე და საშუალო ენერგოპროექტები საკმარისი ვერ იქნება. საამისოდ საჭიროა მსხვილი ენერგეტიკული პროექტების, მათ შორის, პირველ რიგში, ჰიდროპროექტების, ნამახვანის, ხუდონის და ნენსკრას მსგავსი ჰიდროპროექტების, მარეგულირებელი სადგურების პროექტების განხორციელება,** – ამის შესახებ ენერგეტიკული კომპანია „ელ გრინის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა, ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა. ნოღაიდელმა განმარტა, რომ „ელ გრინისთვის", როგორც ტრანსასაზღვრო ვაჭრობით დაკავებული კომპანიისთვის საქართველოში იმპორტი არ არის საქმიანობის მთავარი მიმართულება. მისი თქმით, კომპანიის მისიაა აზერბაიჯანული ელექტროენერგიის საქართველოს გავლით ექსპორტირება და ასევე, საჭიროების დროს, საქართველოს ბაზრისთვის, იაფად მისი შეთავაზება.

**„მუდამ ვამბობ და კიდევ ბევრჯერ გავიმეორებ, რომ „ელ გრინის" ძირითადი მიმართულება აზერბაიჯანული ელექტროენერგიის იმპორტია მესამე ქვეყნებში, მათ შორის თურქეთში, ასევე ევროკავშირის ქვეყნებში და როცა საჭიროა, ასევე საქართველოში",** – აღნიშნა მან. ნოღაიდელმა აღნიშნა, რომ როგორც ჩანს, ზოგიერთ პოლიტიკოსს ან მართლა არ ესმის რეალობა, ან თავს იტყუებს და საზოგადოებაც შეცდომაში შეჰყავს, როცა „ელ გრინს" იმ იმპორტიორ კომპანიათა შორის მოიხსენიებს, ვინც, შესაძლოა, ანტიჰესების კამპანიას ლობირებდეს, რადგან მცდარად ითვლება, რომ ერთი შეხედვით, იმპორტიორებს ხელს არ უნდა აძლევდეს საქართველოში ადგილობრივი გენერაციის განვითარება.

**„ამგვარი ხედვა, „ელ გრინის" შემთხვევაში, არის ძირშივე მცდარი. უფრო შორსაც მიდიან და ამბობენ, რომ „ელ გრინი" რუსეთიდან აწარმოებს ელექტროენერგიის იმპორტს, რომ ძვირად შემოაქვს დენი საქართველოში და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ვამბობ მკაფიოდ და სრული პასუხისმგებლობით – ამ საჯარო განცხადებით, კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ, რომ არც „ელგრინს" და არც მის დამფუძნებელს, სულხან პაპაშვილს, არასოდეს შემოუტანია და არ შემოაქვს რუსული ელექტროენერგია საქართველოში. ჩვენ შემოგვაქვს ყველაზე იაფად ელექტროენერგია აზერბაიჯანიდან. საქართველო უნდა გახდეს ენერგეტიკულად თვითკმარი ქვეყანა. საამისოდ კი მცირე და საშუალო ენერგოპროექტები საკმარისი ვერ იქნება.**

# ᲮᲐᲠᲮᲐᲠᲘ ᲜᲘᲣᲠᲜᲑᲔᲠᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲖᲔ

**რაო, რაო, ხარხარი ნიურნბერგში? იმ ნიურნბერგში, სადაც 1946 წელს მიმდინარეობდა ნაცისტური გერმანიის მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სასამართლო პროცესი, რომელსაც წარმართავდა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი?**

ხარხარი ნიურნბერგის პროცესზე?! დაუჯერებელია, წარმოუდგენელია! ხარხარი რა სათქმელია, წუთიერი სიცილი თუ ჩაცინებაც კი, ალბათ, აკრძალული უნდა ყოფილიყო. ვინ გაბედავდა იმ სამარისებური სიჩუმის დარღვევას, რაც სინდის-ნამუსისა და ზნეობის მასხრად აგდებას უდრიდა?

ვინ გაბედავდა, რომელი ჭკუათამყოფელი შეირცხვენდა თავს საქვეყნოდ? გაბედავდა და იმ დარბაზში მარტო მაყურებელნი ხომ არ იმყოფებოდნენ, პროკურორებიც იქ იყვნენ, მსაჯულებიც იქ იყვნენ, არც თემიდა თვლემდა და არც პოლიცია.

მსოფლიოს ოთხი უძლიერესი სახელმწიფო ასამართლებდა მეხუთეს, რომელიც ერთხანს თითქმის მთელ ევროპას განაგებდა და მთელი მსოფლიოს დაპყრობას ლამობდა.

მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, მიუხედავად ზემოთქმულისა, ერთ მშვენიერ დღეს, მთელი დარბაზი ერთხმად ახარხარებულა. სწორედ ის დარბაზი, წინა დღეს გასუსული და დაზაფრული რომ უსმენდა მოწმედ გამოძახებული პოლონელი ქალის — სევერინა შმაგლევსკას ჩვენებას ოსვენციმის საკონტრაციო ბანაკის საშინელებათა შესახებ. მსმენელთ ცრემლით აევსოთ თვალები, როდესაც ყოფილმა ტუსაღმა დაიწყო თხრობა იმისა, დედებს როგორ ართმევდნენ შვილებს და ოსვენციმის გავარვარებულ ღუმელებში დასაწვავად მიჰყავდათ.

მრისხანედ იყო პოლონელი ქალის ბოლო სიტყვები:"ევროპის ქალთა სახელით მინდა ვკითხო გერმანელ დედებს: სად არიან ჩვენი შვილები?!"

მკაცრი და ულმობელი იყო ბრალმდებელთა დასკვნითი გამოსვლები.

მთავარმა ამერიკელმა ბრალმდებელმა რობერტ ჯეკსონმა თავისი სიტყვა ამგვარად დაასრულა:

— ისინი დგანან ამ სამსჯავროს წინაშე მსგავსად იმისა, როგორც იდგა სისხლში მოსვრილი ჰერცოგი გლოსტერი მის მიერ მოკლული მეფის ცხედართან და ევედრებოდა ქვრივს, ისევე როგორც ჩვენ გვევედრებიან ესენი: „თქვი, რომ მე არ მომიკლავს"!.. და დედოფალმა უპასუხა: „მაშინ შენა თქვი, რომ ისინი არ მოუკლავთ. მაგრამ ისინი მოკლულნი არიან შენის ხელით, სატანის მონავ!" და თუკი ჩვენ ამ ბრალდებულთ უდანაშაულოებად ჩავთვლით, იმავე საფუძველზე უნდა ვთქვათ, რომ არ ყოფილა ომი, არ ყოფილა მკვლელობანი, არ ჩაუდენიათ დანაშაული.

მთავარმა ინგლისელმა ბრალმდებელმა **ჰართლი შოუკროსმა** თავისი სიტყვის დასასრულს თქვა:

**შესაძლოა, ამ ბრალდებულთაგან ზოგიერთს უფრო დიდი დანაშაული მიუძღვის, ვიდრე დანარჩენთ.შესაძლოა, ამ საზარელ ბოროტმოქმედებათა აღსრულების საქმეში ზოგიერთი ბრალდებული უფრო ქმედითსა და უშუალო როლს თამაშობდა, ვიდრე სხვები. მაგრამ როდესაც დანაშაულს გამოხატავს 20 მილიონი ჩვენი მოძმის სიკვდილი, მთელი კონტინენტის გაპარტახება, ენით აუწერელი ტრაგედიებისა და ტანჯვა-ვაების გავრცელება მთელი დედამიწის ზურგზე, როგორ შეიძლება შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაითვალოს ის, რომ ამ ბრალდებულთაგან ზოგიერთი უფრო მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა, ვიდრე მთავარი პერსონაჟები. რა მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ზოგმა დაიმსახურა ასგზის სიკვდილი და ზოგმაც - მილიონგზისა?**

მთავარი ფრანგი ბრალმდებლის **შამპენტიე დე რიბის** სიტყვიდან:

**— დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, მოწმეთა მოსმენის შემდეგ, კინოფილმების დემონსტრაციის შემდეგ, რომელთა ნახვამ თავად ბრალდებულნი შეაძრწუნა, მთელ მსოფლიოში ვერავინ ვეღარ გაბედავს იმის მტკიცებას, რომ გამანადგურებელი ბანაკები, დახვრეტილი სამხედრო ტყვეები, გაჟლეტილი მშვიდობიანი მცხოვრებნი, გვამთა გროვანი, სულითა და სხეულით დასახიჩრებულ ადამიანთა ჯგრონი, გაზის კამერები და საკრემაციო ღუმელები — ყველა ეს ბოროტმოქმედებანი არსებობდნენ მხოლოდ ანტიგერმანულად განწყობილ პროპაგანდისტთა წარმოსახვაში. დიახ, არავის ძალუძს ამის დამტკიცება.**

მთავარი საბჭოთა ბრალმდებლის **რომან რუდენკოს** სიტყვიდან:

**— კაცობრიობის ჭეშმარიტი სიყვარულის სახელით... მილიონობით უდანაშაულო ადამიანის ხსოვნის სახელით; დიახ, მათი სახელით, რომლებიც გაჟლიტა არნახულ და გაუგონარ დამნაშავეთა პირსისხლიანმა ბანდამ, მომავალ თაობათა ბედნიერებისა და მშვიდობიანი შრომის სახელით, მე მოვუწოდებ სამსჯავროს, რომ ყოველ ბრალდებულს, უკლებლივ ყველას, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილი!**

**ყურადღებით უსმენდა ყოველ განკარგულებას და დროულად აწვდიდა სათანადო საბუთებს, მაგრამ ერთხელაც, სხვანაირად მოესმა თუ თავად ადვოკატს რაღაც შეეშალა, მოხდა გაუგებრობა.**

**ასისტენტმა ადვოკატს მიაწოდა, ალფრედ როზენბერგის წიგნი „XX საუკუნის მითი". ის-ის იყო ტომას მექანიკურად უნდა გადაეცა წიგნი მსაჯულთათვის, როდესაც დააკვირდა და უკანასკნელ წამს მიხვდა ასისტენტისა თუ საკუთარ დაუდევრობას. ჭარხალივით წამოწითლდა, მრისხანედ დაუბრიალა თვალები ასისტენტს და უეცრად, მთელი დარბაზის გასაგონად, ყველა საყურისში (სინქრონული თარგმანით) მკაფიოდ გაისმა ადვოკატ ტომას ნათქვამი: რეგვენო, რისთვის მაჩეჩებთ ამ მძღნერს...?!**

**ადვოკატს მიკროფონის გამორთვა დავიწყებოდა.**

**დარბაზში ისეთი ერთსულოვანი და მძლავრი ხარხარი ატყდა, რომ თვით ლორდმა ლოურენსმა, საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარემ, რომელიც მუდამ აღნიშნავდა ხაზგასმით, რომ „სიცილი დარბაზში მორალურ ზიანს აყენებს ტრიბუნალის ღირსებას" ვერაფერი გააწყო. ერთადერთი, რაც გამობრძმედილმა მსაჯულმა მოახერხა, ის გახლდათ, რომ თვითონ შეიკავა თავი სიცილისგან, ოღონდ მცირე ხნით. შესვენებისას ლოურენსიც ხარხარებდა და ისე ხარხარებდა, რომ დარბაზის კედლები შეაზანზარა.**

**მაგრამ მაყურებლებსა და მსაჯულებს ვინ ჩივის, როდესაც გულიანად ხარხარებდნენ... ბრალდებულნიც! ყველა ხარხარებდა, რასაკვირველია, გარდა როზენბერგისა, რომელიც პირგამეხებული შეჰ ყურებდა და თვალებს უბრიალებდა თავის ნავსიან ადვოკატს.**

**როზენბერგს კიდევ უფრო ატკინეს გული, როდესაც გერმანიის ახალგაზრდული ორგანიზაციის „ჰიტლერიუგენდის" ხელმძღვანელს ბალდურ ფონ შირახს ადვოკატმა რატომღაც ჰკითხა: როზენბერგის სახელგანთქმული წიგნის თაობაზე რას ფიქრობთო? შირახმა გულახდილად უპასუხა: ძალიან ვეცადე, მაგრამ ეს ტრაქტატი ვერაფრით ვერ დავძლიეო.**

**მთელი დარბაზი კვლავ ახარხარდა.**

**სხვათა შორის, შირახი უწიგნური კაცი არა ყოფილა. ნიურნბერგის ციხეში ყოფნისას გერმანულად თარგმნიდა ცნობილი ინგლისელი პოეტის ალფრედ ტენისონის ლექსებს. და, როგორც ამბობენ, ურიგოდ როდი თარგმნიდა.**

**ახლა ისიც ვთქვათ, რომ ტომა — შირახის დუეტი იავნანად მოეჩვენებოდა როზენბერგს, თუკი შემდგომ მოვლენებსაც შევავლებთ თვალს.**

**დიახ, დიახ, მერე მოხდა, რაც მოხდა. ერთი შეურაცხმყოფელი შედარება აქ რა მოსატანია, როდესაც ოცივე ბრალდებული, როგორც გაირკვა, იზიარებდა ადვოკატის ულმობელ განაჩენს.**

* * *

ᲖᲔᲛᲝᲗ მოთხრობილი კომიკური ეპიზოდიდან მეორე თუ მესამე დღეს, ამერიკელმა ფსიქიატრმა **ჯილბერტმა**, რომელსაც ბრალდებულებთან უშუალო ურთიერთობის უფლება ჰქონდა მინიჭებული, ყოველ მათგანს ჩამოუარა და სათითაოდ სთხოვა — თავისი აზრი გამოეთქვა როზენბერგის სახელგანთქმულ წიგნზე. და ყველამ ერთი და იგივე პასუხი გასცა: როზენბერგის წიგნი არ წამიკითხავსო.

მარტოოდენ იულიუს შტრაიხერს, მგზნებარე ანტისემიტსა და არასრულწლოვანთა გახრწნით გატაცებულ მანიაკს, შეებრალა ასე აბუჩად აგდებული როზენბერგი და განაცხადა: **„XX საუკუნის მითი" ძალზე ღრმააზროვანი ნაშრომი არისო. იმდენად ღრმააზროვანია, რომ ჩემი გონება მის სიღრმეებს ვერ ჩასწვდაო.**

ამგვარად, ნაცისტური გერმანიის სახელმწიფო ელიტა არ იცნობდა ნაცისტთა მთავარი იდეოლოგის უმთავრეს თხზულებას. ესეც რომ გაეგოთ ნიურნბერგის პროცესის მაყურებლებს, აი, მაშინ უნდა გენახათ, რა დაემართებოდა დარბაზს. ხარხარი, ალბათ, კედლებს დაანგრევდა.

მეორე კომიკური ეპიზოდი თავს დაატყდა ზემოხსენებულ **ბალდურ ფონ შირახს**.

მიმდინარეობდა უშიშროების მთავარი საიმპერიო სამმართველოს უფროსის — **ერნსტ კალტენბრუნერის** დაკითხვა. მოწმეებად გამოძახებული იყვნენ მაუთჰაუზენის საკონტრაციო ბანაკის ზედამხედველი, გვარად **ჰელრიგელი,** და ერთი იქაური ტუსაღიც. მათი ჩვენებანი ისე საოცრად დაემთხვა ერთიმეორეს, რომ კალტენბრუნერს ენა მუცელში ჩაუვარდა.

შირახს ჩუმ-ჩუმად ეცინებოდა კალტენბრუნერის გასაჭირზე. მაგრამ, ეტყობა, არ ჰქონდა გაგონილი ბრძნული ქართული ანდაზა: **ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო"**.

ინგლისელმა ბრალმდებელმა ზედამხედველ **ჰელრიგელს** ჰკითხა: კალტერბრუნერის გარდა, თქვენთან სტუმრად სხვა ვინმეც ხომ არ ყოფილაო?

ზედამხედველმა მშვიდად დაასახელა ბალდურ ფონ შირახი და კიდეც ამოიცნო იგი ბრალდებულთა სკამზე — მეორე რიგში, მარცხნიდან მესამე ზისო.

ჰელრიგელის სიტყვით, მაუთჰაუზენში სტუმრობისას, შირახი ესწრებოდა სიკვდილით დასჯის ორიგინალურ სახეობას. საიკვდილოდ განწირულ ტუსაღებს თურმე „პარაშუტისტებს" ეძახდნენ, ვინაიდან, ლაზათიანი ცემა-ტყეპის შემდეგ, მათ ორმოცმეტრიანი სიღრმის ხრამში გადაისროდნენ ხოლმე.

შესვენებისას შეშფოთებულმა შირახმა სასწრაფოდ იხმო თავისი ადვოკატი და სათანადო რჩევა-დარიგებანი მისცა.

და აი, ადვოკატი ეკითხება მოწმეს: **„მაუთჰაუზენში შირახი მარტო ჩამოვიდა თუ ვინმე ახლდა?"**

მოწმე უპასუხებს: **„შირახს სხვა პირნიც ახლდნენ. ათიოდე კაცი იქნებოდა"**.

ადვოკატმა მყისვე **„გამოიჭირა"** მოწმე და სამსჯავროს ამაყად მოახსენა, რომ სინამდვილეში შირახს ათი კაცი კი არ ახლდა, არამედ ოცი!

მაგრამ მაუთჰაუზენის ზედამხედველი, ჩანს, იუმორის გრძნობით იყო დაჯილდოებული და მოკრძალებით მოიბოდიშა:

**— არ დამითვლია ეგენი... რა ვიცოდი, რომ დამჭირდებოდა.**

ისევ სიცილმა იფეთქა დარბაზში. ალფრედ როზენბერგის წიგნის თაობაზე ატეხილ ხარხარს, რა თქმა უნდა, ეს ვერ შეედრებოდა, მაგრამ საქვეყნოდ აღიარებული თხზულების მასხრად აგდებაც ყოველდღე ხომ არ ხდება...

ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲝᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲡ, ᲜᲘᲣᲠᲜᲑᲔᲠᲒᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲚᲛᲐ ᲐᲚᲤᲠᲔᲓ ᲠᲝᲖᲔᲜᲑᲔᲠᲒᲡ ᲛᲘᲣᲡᲐᲯᲐ ᲩᲐᲛᲝᲮᲠᲩᲝᲑᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲑᲐᲚᲓᲣᲠ ᲤᲝᲜ ᲨᲘᲠᲐᲮᲡ — ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ 20 ᲬᲚᲘᲡ ᲕᲐᲓᲘᲗ.

**მოამზადა**
**ᲚᲐᲨᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ**

# რას ელიან საქართველოში NATO-ს სამიტისგან?

ვიდრე ქართული პოლიტიკური კლასი მნიშვნელოვანწილად შიდა პოლიტიკურ ჭიდილზეა კონცენტრირებული და ყურადღების მიღმა ტოვებს, მათ შორის, უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებს, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ლიდერები 14 ივნისის სამიტისთვის ემზადებიან და როგორც ცნობილია, ნატოს 10-წლიან დღის წესრიგზე მიიღებენ გადაწყვეტილებას.




**„ეს არის უნიკალური შესაძლებლობა, გავაძლიეროთ ნატო, როგორც გამოხატულება ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მტკიცე კავშირისა. ჩვენ გადაწყვეტილებას მივიღებთ ალიანსის არსებით და პერსპექტიულ ნატო 2030-ის დღის წესრიგზე, რათა გავუმკლავდეთ დღევანდელი და ხვალინდელი დღის გამოწვევებს. რუსეთის აგრესიული ქმედებები, ტერორიზმის საფრთხე, კიბერთავდასხმები, კლიმატის ცვლილებების ზეგავლენა უსაფრთხოებაზე და ჩინეთის აღზევება“,** — ნათქვამია ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებაში.

სამიტი სამწუხაროდ, არაწევრი სახელმწიფოებისთვის დახურული იქნება, შესაბამისად, საქართველო არც ერთ ფორმატში არ იქნება წარმოდგენილი, მაგრამ როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ეს არანაირად არ აკნინებს, მათ შორის, საქართველო-ნატოს პარტნიორობას.

## რა წერია ნატოში ინტეგრაციის მხარდამჭერ გაცხადებაში?

**პოზიტიურია ის გარემოება, რომ მიუხედავად მკვეთრად პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოსა და შიდა პოლიტიკური დაპირისპირებისა, ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა ქვეყნის საგარეო კურსთან მიმართებით საერთო განცხადებაზე შეჯერება შეძლეს: საქართველოს პარლამენტმა გამოაქვეყნა ნატოში ინტეგრაციის მხარდამჭერი განცხადება, რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილმა პარტიებმა. როგორც ცნობილია, ტექსტი ოპოზიციური პარტიების ჩართულობით მომზადდა და ხელიც მოეწერა. განცხადებას სავარაუდოდ, ხელს მოაწერენ ენმ-ს წევრებიც, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოში 7-თვიანი ბოიკოტის შემდეგ 8 ივნისს პირველად მივიდნენ.**

რაც შეეხება თავად განცხადებას, მასში აღნიშნულია, საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიები სრულად იზიარებენ იმ ფასეულობებს, რომლებსაც ემყარება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია და აცხადებენ, რომ საქართველოს ნატოს წევრობისთვის აქვს ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი, განაგრძობს თავდაცვითი შესაძლებლობების განმტკიცებას და ახორციელებს პროგრესს ნატოსთან სრული თავსებადობის მისაღწევად:

## რას ელიან საქართველოში ნატოს სამიტისგან

საერთაშორისო უსაფრთხოების ექსპერტი, ამჟამად „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი, დეპუტატი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს **თეონა აძუბარდიას** უშუალოდ საქართველოსთან მიმართებით დიდი მოლოდინები არ აქვს, თუმცა მნიშვნელოვნად მიიჩნევს სტრატეგიას, რომლის მიღებაც ნატოს სამიტზეა განზრახული და რომელიც აქუბარდიას ხედვით, განახლებას ნამდვილად საჭიროებდა:

**„სტრატეგიის პროექტში საკმაოდ მკაფიო გზავნილებია რუსეთთან, რუსულ ჰიბრიდულ ომთან, ჩინეთთან, ნატოს როლთან მიმართებაში, მათ შორის, მხარი დაუჭიროს პარტნიორ ქვეყნებს, რომლებიც რუსეთისგან შევიწროებას განიცდიან (მხედველობაში მაქვს საქართველო და უკრაინა). ამდენად, სტრატეგია მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, თუ რა მიდგომა ექნება ნატოს საქართველოსთან მიმართებაში, რუსეთის შეკავებასთან დაკავშირებით — შავი ზღვის უსაფრთხოება რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, ეს ვიცით. აქ მთავარია, საშინაო დავალება, სადაც მნიშვნელოვანი ხარვეზები გვაქვს (ვგულისხმობ დემოკრატიას), შევასრულოთ და ამის შესაძლებლობას იძლევა შარლ მიშელის შეთანხმების დოკუმენტი“.**

GIPA-ს ასოცირებული პროფესორი **თენგიზ ფხალაძე** გვეუბნება, რომ ეს არ არის ალიანსის გაფართოების სამიტი, მაგრამ არის ნატოს თვისობრივად ახალ საფეხურზე გადაყვანის სამიტი, უნდა მიიღოს რა გადაწყვეტილება საკუთარი მომავლის შესახებ — როგორ ესახება განვითარება, მათ შორის, როგორ უყურებს ჩვენს რეგიონს, შავ ზღვას და ასპირანტ ქვეყნებს.

ფხალაძე სამიტზე სამსჯელო დოკუმენტში მოხვედრილ საქართველოსთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, მათ შორის, იმაზე, რომ საქართველო განიხილება შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების ნაწილად:

**„ერთია, როდესაც შავი ზღვის უსაფრთხოებაზე ერთ-ერთ პარტნიორად განიხილები და მეორე — როგორც პრიორიტეტი. ამიტომ, მგონია, რომ ეს სამიტი ამ სტრატეგიულ კონტექსტში მოგვცემს ნათელ ხედვას, თუ როგორ უყურებს ალიანსი მომავალს, მათ შორის, ჩვენთან და ასევე, რუსეთთან მიმართებითაც — ალიანსმა თავისი ძალიან მკაფიო ხედვა უნდა ჩამოაყალიბოს რუსეთთან მიმართებაში. ამდენად, ეს შესაძლოა, არ არის ის პრაქტიკული გადაწყვეტილებები, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხელშესახებად ჩანს, მაგრამ ამ სამიტზე უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, საიდანაც შემდგომი პრაქტიკული გადაწყვეტილებები გამომდინარეობს“.**

ფხალაძე იმედოვნებს, საქართველოს კონტექსტში მოვისმენთ საჭირო პოლიტიკურ გზავნილებს:

**„რუსეთი ჩერდება მხოლოდ ერთ შემთხვევაში — თუ ხედავს, რომ გარკვეულ თემებთან დაკავშირებით არსებობს დასავლეთის ერთიანი, მწყობრი პოლიტიკა, რაც გულისხმობს, რომ რუსეთი ძვირს გადაიხდის იმისთვის, რასაც საქართველოში აკეთებს. ამიტომ, მნიშვნელოვანია პოლიტიკური გზავნილები და ვიტოვებ იმედს, რომ მსგავს გზავნილებს სამიტიდან მოვისმენთ“.**



## შვეიცარიაში... უძველეს ვილაში...

**აშშ-ის პრეზიდენტის, ჯო ბაიდენისა და რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის შეხვედრა მე-18 საუკუნის ვილაში გაიმართება,** — ინფორმაციას ამის შესახებ შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

**„16 ივნისს ლეგენდარული ვილა „ლა გრანჟი“ ჯო ბაიდენისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრას უმასპინძლებს. შვეიცარია მადლობას უხდის ორ ქვეყანას ჟენევის არჩევით გამოხატული ნდობისთვის“,** — ნათქვამია შვეიცარიის საგარეო უწყების განცხადებაში.

## ბაიდენი ვრცელ ტურნეს იწყებს

**აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ ვლადიმერ პუტინს გააგებინებს, რომ ამერიკა დაბრუნდა. ჯო ბაიდენმა ასევე აღნიშნა, რომ ვაშინგტონს მოსკოვთან კონფლიქტი არ სურს, თუმცა რუსეთის მავნე ქმედებებს პასუხს გასცემს.**

მისივე თქმით, აშშ-სა და ევროპაში სუვერენიტეტისა და დემოკრატიის შელახვას შედეგები მოჰყვება.

აშშ-ის პრეზიდენტი, ჯო ბაიდენი დიდ ბრიტანეთში ჩავიდა, საიდანაც მისი ევროპული ტურნე იწყება.

## პუტინს უკრაინის ნატოში გაწევრება რეალურად მიაჩნია

**რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა უკრაინის ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობა დაუშვა.**

ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა, რომ უკრაინის ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობის შესახებ დისკუსიას ლაქლაქად არ მიიჩნევს.

**„რუსეთთან კარგი ურთიერთობების პერიოდშიც კი ნატოს გაფართოების საკითხში დასავლელმა პარტნიორებმა არაფრად მიიჩნიეს მოსკოვის ინტერესები“,** — აღნიშნა ვლადიმერ პუტინმა. რუსეთის პრეზიდენტის თქმით, მოსკოვს არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა შეთანხმებას მიაღწიეს კიევმა და დასავლეთმა უკრაინის ალიანსში გაწევრიანების საკითხზე.

**„არ ვიზიარებ იმათ პოზიციას, ვინც ამ საკითხზე იცინის. შესაძლოა, კიევმა უბრალოდ ნაადრევად გაახმოვანა ეს. უკრაინის ნატოში არგაწევრიანების გარანტიები არ არსებობს“,** — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

## ნავალნის ორგანიზაცია ექსტრემისტულად გამოაცხადეს

**მოსკოვის საქალაქო სასამართლომ ალექსეი ნავალნის ორგანიზაცია, „კორუფციასთან ბრძოლის ფონდი“ ექსტრემისტულ ორგანიზაციად ცნო.**

სასამართლომ მოსკოვის პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა. „კორუფციასთან ბრძოლის ფონდის“ გარდა, მოსკოვის საქალაქო სასამართლომ ექსტრემისტულ ორგანიზაციებად „მოქალაქეების უფლებების დაცვის ფონდი“ და საზოგადოებრივი მოძრაობა „ნავალნის შტაბი“ ცნო. სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული ორგანიზაციების რუსეთის ტერიტორიაზე საქმიანობა იკრძალება. მათ ეკრძალებათ ინფორმაციის გავრცელება, ფინანსური ოპერაციების განხორციელება, არჩევნებში მონაწილეობა და აქციების ორგანიზება, ხოლო ორგანიზაციების თანამშრომლებს 6-წლიანი პატიმრობა ემუქრებათ, თუ აღნიშნულ ქმედებებს განახორციელებენ. დაცვის მხარე აცხადებს, რომ მოსკოვის საქალაქო სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს.

## ჩემს შვილს ტყვეების სანაცვლოდ გთავაზობ!



სომხეთის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის შვილმა, აშოთ ფაშინიანმა განაცხადა, რომ მზად არის, აზერბაიჯანს ჩაბარდეს, თუ ყველა დატყვევებულ სომეხ სამხედროს გაათავისუფლებენ.

**„მზად ვარ, აზერბაიჯანში გავემგზავრო იმ პირობით, რომ ყველა დატყვევებულ სომეხ სამხედროს გაათავისუფლებენ. ზოგიერთი პოლიტიკური ძალა ამ თემით სპეკულირებს, თუმცა სამშობლოს სამსახურში ყოფნა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მე და ჩემი ოჯახი“,** — განაცხადა ნიკოლ ფაშინიანის შვილმა.

8 ივნისს სომხეთის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა, ნიკოლ ფაშინიანმა განაცხადა, რომ მზად არის, საკუთარი ვაჟი აზერბაიჯანში დატყვევებულ ყველა სომეხ სამხედროზე გაცვალოს. მანამდე სომხეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, სერჟ სარგსიანმა ნიკოლ ფაშინიანს შესთავაზა, თავისი შვილი გადასცეს აზერბაიჯანს და მის ნაცვლად დაიბრუნოს 20-25 სამხედრო ტყვე. **„ოფიციალურად ვეუბნები ალიევს: ჩემს შვილს ტყვეების სანაცვლოდ გთავაზობ“,** — განაცხადა ფაშინიანმა. ნიკოლ ფაშინიანმა აღნიშნა, რომ ეს არა ემოციური, არამედ ოფიციალური განცხადებაა და ოფიციალურ პასუხს ელოდება.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ვასილ ირემაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ვასილ ირემაშვილი (პ/ნ 31001016435), თბილისი, ზაჰესი, თავისუფლების ქ. №13ა, ბინა №48.
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, ზაჰესი, თავისუფლების ქ. №13ა, ბინა №48 (საკადასტრო კოდი: 72.12.03.001.01.048).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 14905 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 10 ივნისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 25 ივნისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP71570421;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 715704
6. **მოვალე:** ვასილ ირემაშვილი (პ/ნ 31001016435), თბილისი, ზაჰესი, თავისუფლების ქ. №13ა, ბინა №48.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP71570421; ლოტის ნომერი: 715704).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 25 ივნისის 10:00 საათამდე.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შახრაბ ახმედოვის, ვახიდ ახმედოვის, ანახანიმ ახმედოვას თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრეები:** შახრაბ ახმედოვი (პ/ნ 28001045315), მარნეული, ს. საბირქენდი, მე-7 ქ. №6;
ვახიდ ახმედოვი (პ/ნ 28001045317), მარნეული, ს. საბირქენდი;
ანახანიმ ახმედოვა (პ/ნ 28001081290), მარნეული, ს. საბირქენდი.
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
მარნეული, ს. საბირქენდი (საკადასტრო კოდი: 83.03.25.365).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 41262.11 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 10 ივნისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 25 ივნისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP71568921;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 715689
6. **მოვალე:** შახრაბ ახმედოვი (პ/ნ 28001045315), მარნეული, ს. საბირქენდი, მე-7 ქ. №6;
ვახიდ ახმედოვი (პ/ნ 28001045317), მარნეული, ს. საბირქენდი;
ანახანიმ ახმედოვა (პ/ნ 28001081290), მარნეული, ს. საბირქენდი;
გალანდარ მუსაევი (პ/ნ 28001042586), მარნეული, ს. ალგეთი.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP71568921; ლოტის ნომერი: 715689).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 25 ივნისის 10:00 საათამდე.

# ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲬᲚᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲡᲐᲯᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲖᲔ

**ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ „რედისონ ბლუ ივერიაში“ შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლებისთვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ სახელმძღვანელოს წარგინება გაიმართა. ღონისძიება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ და ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის უფროსის მოადგილემ ვაჰაგ მურადიანმა გახსნეს.**

სახელმძღვანელო სამი ნაწილისაგან შედგება: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფსიქოლოგიური ასპექტები; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება – ეროვნული კანონმდებლობა; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები და მიდგომები.

**„შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა და მათი მონაწილეობით მიმდინარე სამართალწარმოების ეფექტიანობის ამაღლება. არასრულწლოვნის ინტერესებზე მორგებული გარემოს შექმნისთვის მუშაობა უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს.**

**სახელმძღვანელო მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც დაინერგება უწყების ყოველდღიურ საქმიანობაში და ხელს შეუწყობს გამომძიებლების საქმიანობას არასრულწლოვნებთან დაკავშირებით მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში“,** – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. სახელმძღვანელო ევროპის საბჭოს პროექტის – „არასრულწლოვან და სრულწლოვან თავისუფლებაყოფილ პირთა მხარდაჭერა (JADES)“ – ფარგლებში შემუშავდა. აღნიშნული პროექტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მჭიდროთანამშრომლობითა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, 2019 წლიდან ხორციელდება.

# ᲝᲞᲝᲜᲔᲜᲢᲘ

**ᲡᲬᲝᲠᲔᲓ** ამაზე იტყვიან, შარი ძალით აიკიდაო. ჭკუა რომ მეხმარა და მწერალთა კავშირში არ შევსულიყავი, არც ეს აბეზარა ოპოზიცია ამედევნებოდა. ტელეარხებით სახელისუფლებო ოპოზიციის ყოველდღიური ჩხავილ-ჯღავილი არ მეყოფოდა, რომ ახლა კიდევ საკუთარი ოპოზიციაც არ გამომეჩხრიკა?

ყველაფერი ჩემი კოლეგისა და განუყრელი მეგობრის გუბაზის ბრალია. აქაოდა, ცნობილი მწერალი და უცხოური ლიტერატურის სუპერმთარგმნელი ვარო, ჩემი გამწერლებაც მოიწადინა. ადრევე ჩამჩიჩინებდა – მწერლობისკენ მიდრეკილი ჟურნალისტი ხარო, ბოლოს კი კატეგორიულად მომთხოვა: როდემდე უნდა იარო ასე გადრეკილ-გადაზნექილმა, დაწერე განცხადება და შემოდიო.

– სადა, კაცო, – ვიუარე, – მწერალთა კავშირიდან სხვები გასვლას აპირებენ და მე შემოვიდე?

– მერე, რატომ გადიან?

– იმიტომ, რომ ხელფასს მაგათ არ აძლევენ და ჰონორარს, წიგნებსაც საკუთარი ხარჯებით აცემინებენ.

– აი, სწორედ ეს მომენტი უნდა გამოიყენო.

– რა მომენტი?

– ვერ ხვდები? ირგვლივ რომ აღარავინ დარჩება, შეიძლება მწერალთა კავშირში რაიმე მაღალ თანამდებობასაც გამოჰკრა ხელი.

– რად მინდა მაგნაირი თანამდებობა, თუ დასაჯდომი სკამიც არ მექნება?

– რა სკამზეა ლაპარაკი?

– დაგავიწყდა, მწერლებს სასახლის გაყიდვით რომ ემუქრებოდნენ?

– შე დალოცვილო, თუკი ფული გაგიჩნდება, სულაც შინ დაჯექი, ვინ დაგემდურება?

– მერე, ფული საიდან?

– სასახლიდან. თუ გაიყიდა, წილი შენც შეგხვდება.

– ეს აზრი, ეტყობა, გუბაზს თავადაც მოეწონა (ჩემთან წილში ჩაჯდება) და მწერალთა შეკრებებზე, საიუბილეო თარიღებსა და წვეულებებზე ისე არ წავა, მეც ხელს არ გამაყოლოს. სუფრასთანაც ერთ ამბავშია, ჩემ სადღეგრძელოს გამორჩეულად სვამს და ქებადიდებას მასხამს.

– ასეა საჭირო, – მეუბნება, – დაწინაურება თუ გინდა, მწერლებმა ახლოს უნდა გაგიცნონ.დაწინაურებაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ოპონენტები კი მომიმრავლდა. ჩემ წინააღმდეგ გაერთიანდნენ როგორც ჟურნალისტები, ისე მწერლები. პირველნი ფიქრობენ, რომ ჟურნალისტიკას ვუღალატე, მეორენი – მწერლობას მივეტმასნე.

მე კიდევ არაფერი, ჩემი ოპონენტები თავად გუბაზსაც უტევენ.

– რა უნდოდა, დატეულიყო ჟურნალისტიკაში, არ ერჩივნა?– უსაყვედურა მას ერთმა წონაკალმიანმა ჟურნალისტმა, – ვერ ვიტან, როცა დაუმსახურებლად აქებ.

– ვიცი, საითაც ისვრი, მაგრამ ვერ მოარტყამ, – მოუჭრა გუბაზმა, – დიდი თავი გაქვს და ჩვენი მეგობრობის „ღობეში“ ვერ გაეტევი...

მანამდე გუბაზი ერთ პოეტ ქალსაც წაეტაკა.

– მე ლირიკოსი ვარ და ჩემს გვერდით ასეთ პროზაიკოს-ნატურალისტებს ვერ ვიტან, – განუცხადა მან გუბაზს.

– „ნატურიდან“ რომ წერს, ეგ არ მოგწონს?

– რა თქმა უნდა, სად ჩემი ლირიკა და სად მაგის მოსაწყენი „ნატურა“.

– აი, მაგდენიც არ გაგეგება, დღეს მკითხველი მწერლობაში სწორედ ნატურალიზმს ეტანება.

– კრიმანჭული ვერ გიშველით, – გაწიწმატდა პოეტი, – ორივეს სასამართლოში გიჩივლებთ.

– კაი კურდღელსაც დაიჭერ, – არ დაიბნა გუბაზი, – იქ უფრო მსხვილი ნატურალისტები სხედან.

ამის საპირისპირო ამბებიც ხდება. ამას წინათ ერთმა ავტორიტეტულმა ჟურნალისტმა თავის სტატიაში ჩემი გვარი გამოჩენილი ქართველი მწერლების გვერდით მოიხსენია. ამან, ცოტა არ იყოს, უხერხულობაში ჩამაგდო. სიმართლე გითხრათ, გულიც მომივიდა.

– რას ჰგავს ეს? – შევჩივლე გუბაზს.

– გაჩუმდი, – მირჩია მან, – უნდა ისწავლო ქების შეშვნევა, ეს მომავალში გამოგადგება.

შეშვნევაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ ფაქტმა იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ოპონენტებისადმი ბოლომდე ცხვირის აბზუება არავის გამოადგება. ამის დასტურად გამოდგება ჩვენი სახელისუფლებო პარტიის მაგალითიც, რომელიც პარლამენტიდან გაქცეულ განაწყენებულ ნაციონალებს ყელის გაწევით ეხვეწებოდა, ოღონდ დაგვიბრუნდით და ცივ ნიავსაც არ მოგაკარებთო. მათ დაბრუნებას კუდის ქიცინითა და ტაშის გრიალით შეხვდნენ ჩვენი ევროპელი და ამერიკელი კეთილისმყოფელნიც.

ჰოდა, ჩემო ძვირფასო და კეთილო ოპონენტებო, დღეის შემდეგ მაკრიტიკეთ იმდენი, რამდენიც მოგეპრიანებათ, არ მეწყინება. ამით ჩემს რეიტინგს თუ არ მოემატება, არაფერი მოაკლდება.

მიდით, შემომიტიეთ, ოპონენტებო!

**ᲝᲗᲐᲠ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

◎ ტრიუმფი

# ლაშა ტატოური

**მართლაც, ტატამის ლომი უნდა იყო, ფალავანთა სამშობლოდან პირველმა სამივე უმაღლესი რანგის ტიტული რომ მოიპოვო.**

29 წლის **ლაშა შავდათუაშვილმა** ეს ბუდაპეშტში მოახერხა, სადაც 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში ფუროორი მოახდინა, ზედიზედ 6(!) ბრძოლა მოიგო პერუელ, ბრაზილიელ, ებრაელ, უნგრელ, თურქ, შვედ მეტოქეებთან და ორდღიანი სამედლო გვალვის შემდეგ ჩვენი გუნდის ყულაბაში ერთბაშად „ოქრო“ ჩააჩხრიალა.

აღსანიშნავია, რომ აქედან ოთხ შერკინებაში ჩვენმა ოლიმპიურმა იმედმა საწადელს დამატებით დროში მიაღწია, რაც მის გამორჩეულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ კონდიციებს მოწმობს, განსაკუთრებით ფასეული კი მასპინძელთა უბერებელ ვეტერანთან უნგვართან თითქმის ექვსწუთიან მარათონში მოხვეჭილი გამარჯვებაა, რომელიც „ჯვაროსანმა“ ლონდონის თამაშებზეც დაამარცხა დაუვიწყარ 2012 წელს.

მისთვის ბენეფისად ქცეული ფორუმი ვახსენეთ და ისიც უნდა ითქვას, რამდენჯერ გვსმენია მას შემდეგ, ის ტრიუმფი შემთხვევითი გახლდათ და ყარაულის თოფივით ერთხელ გაისროლაო, თითქოს ევროპულ ოლიმპზე ასვლა და უმნიშვნელოვანეს ოფიციალურ თუ პრესტიჟულ ტურნირებზე დამსახურებული საპრიზო ადგილები სათვალავში ჩასაგდები არ ყოფილიყოს. საინტერესოა, აწი რას იტყვიან ლაშა გუჯეჯიანის შეგირდთა ჩასაფრებული „კეთილისმსურველნი“?

სახელოვანი პარტნიორის მაგალითისა არ იყოს, მისი წყალი **ტატო გრიგალაშვილს** გადაესხა (81 კგ), თუმცა, ვიდრე მის საგმირო საქმეებზე გადავალთ, აუცილებლად მიგვაჩნია ქართველი მამლუქის — **იაგო აბულაძის** მიღწევის შესახებაც გაუწყოთ, ვინც საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე რუსეთის ნაკრების სახელით 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში სტარტზევე ავიდა. მან ფარ-ხმალი ფრანგს, ყირგიზს, ბულგარელსა და ორ ყაზახს დააყრევინა, თანაც ძირითადი დროის ბოლომდე მხოლოდ ერთ შეხვედრაში მოუწია ჭიდაობა, ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთათვის დაწესებული სანქციების გამო კი ლასლო პაპის სახელობის დარბაზში ჩაიკოვსკის მელოდია აჟღერდა...

ახლა კი, მოდით, დავუბრუნდეთ ძირითად სათქმელს: კორეის, შვედეთის, საბერძნეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის წარმომადგენელთა ერთი ამოსუნთქვით დაჩოქების შემდეგ 21 წლის გრიგალაშვილს რეალური შანსი გაუჩნდა, წლეულს დუბლი შეესრულებინა, ევროპული „ოქროსთვის“ კიდევ უფრო პრესტიჟული ჯილდო მიემატებინა და ოლიმპიადამდე ერთი თვით ადრე პერსპექტიული ტრამპლინი შეექმნა იმ უნიკალური ჰეთთრიქის გასამეორებლად, წინა საღამოს თამასის სახით ლაშა შავდათუაშვილმა რომ გაუდო თანამემამულეებს.

საამისოდ ბოლო ნაბიჯის გადადგმაღა რჩებოდა — კიდევ ერთი ბელგიელის, წინა მუნდიალის ფინალისტ მარსელ კაასეს დამარცხება, რომელსაც, სხვათა შორის, ზემოთ უკვე დასახელებულ კონტინენტურ ფორუმზე სძლია.

სამწუხაროდ, ეს მისია ტატოსათვის ამჯერად შეუსრულებელი აღმოჩნდა, რადგან ღირსეულ მეტოქეს კარგად ჰყავდა შესწავლილი და ის კოზირები დაუბლოკა, რითიც წინა ბრძოლებში „ბაირამობდა“, თუმცა, ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ძირითად დროში კაასეს ორი შიდო მიაღებინა და გოლდენ სქორში ბელგიელის რევანშზე უფრო რეალურად ჩვენებურის ტრიუმფი გამოიყურებოდა.

ასეა თუ ისე, „ჯვაროსანთა“ დელეგაციის „ოქროს“ მარაგი „ვერცხლით“ შეივსო და გუნდურ სამედლო ჩათვლაში კიდევ უფრო დავწინაურდით, თუმცა, რომ არა ამავე წონაში ლუკა მაისურაძისა და ქალთა ტურნირში ეთერ ლიპარტელიანის დასანანი წაგებები, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.

დავძენთ, რომ ტატო გრიგალაშვილს საპატიო კვარცხლბეკზე გვერდს 25 წლის „პორტუგალიელი“ მესამე პრიზორი **ანრი ეგუტიძე** უმშვენებდა, რომელმაც „ბრინჯაოსათვის“ ბრძოლაში **ჯარჯი ზვიადაურის** გაწვრთნილი უზბეკი ბოლტობაევი დააიპონა.

◎ ფორუმი

# დღეს რომში იტალია-თურქეთის მატჩით ევროპის XVI ჩემპიონატი იწყება!

**როგორც იქნა, წერტილი დაესვა ფეხბურთის გულშემატკივართა გაჭიანურებულ მოლოდინს, კორონავირუსის პანდემიამ რომ მოგვივლინა და ერთი წლით გადაგვივადა სიამოვნება — იწყება ევროპის XVI ჩემპიონატი, რომელსაც პირველად მიიღებს ძველი სამყაროს ერთბაშად 11 ქვეყნის ამდენივე ქალაქი, მარათონული ფორუმის ფინალს კი ერთი თვის შემდეგ სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის სამშობლოს უმთავრესი სარბიელი „უემბლი“ უმასპინძლებს.**

ბუნებრივია, როგორც ყველა ტურნირს, აღნიშნულსაც ჰყავს ფავორიტები, მაგრამ ამჯერად მათი დასახელებისგან თავი შევიკავოთ — უკან ხომ მომქანცველი საკლუბო სეზონი დარჩა, თანაც მაშინ, როცა შეხვედრათა უმეტესობა უმაყურებლოდ იმართებოდა. ჰოდა, ვუქომაგოთ ჩვენს რჩეულებს!

**„ა“ ჯგუფი (რომი, ბაქო).** იტალია, თურქეთი, უელსი, შვეიცარია.

**„ბ“ ჯგუფი (კოპენჰაგენი, სანკტ-პეტერბურგი).** დანია, ფინეთი, ბელგია, რუსეთი.

**„გ“ ჯგუფი (ამსტერდამი, ბუქარესტი).** ნიდერლანდები, უკრაინა, ავსტრია, ჩრდ. მაკედონია.

**„დ“ ჯგუფი (ლონდონი, გლაზგო).** ინგლისი, ხორვატეთი, შოტლანდია, ჩეხეთი.

**„ე“ ჯგუფი (სევილია, სანკტ-პეტერბურგი).** ესპანეთი, შვედეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი.

**„ვ“ ჯგუფი (მიუნხენი, ბუდაპეშტი).** გერმანია, უნგრეთი, პორტუგალია, საფრანგეთი.

## კალენდარი.

**11 ივნისი.** თურქეთი — იტალია 23:00 რომი. **12 ივნისი.** უელსი — შვეიცარია. 17:00 ბაქო. დანია — ფინეთი. 20:00 კოპენჰაგენი. ბელგია — რუსეთი. 23:00 სანკტ-პეტერბურგი. **13 ივნისი.** ინგლისი — ხორვატეთი. 17:00 ლონდონი. ავსტრია — ჩრდ. მაკედონია. 20:00 ბუქარესტი. ნიდერლანდები — უკრაინა. 23:00 ამსტერდამი. **14 ივნისი.** შოტლანდია — ჩეხეთი. 17:00 გლაზგო. პოლონეთი — სლოვაკეთი. 20:00 სანკტ-პეტერბურგი. ესპანეთი — შვედეთი. 23:00 სევილია. **15 ივნისი.** უნგრეთი — პორტუგალია. 20:00 ბუდაპეშტი. საფრანგეთი — გერმანია. 23:00 მიუნხენი. **16 ივნისი.** ფინეთი — რუსეთი. 17:00 სანკტ-პეტერბურგი. თურქეთი — უელსი. 20:00 ბაქო. იტალია — შვეიცარია. 23:00 რომი. **17 ივნისი.** უკრაინა — ჩრდ. მაკედონია. 17:00 ბუქარესტი. დანია — ბელგია. 20:00 კოპენჰაგენი. ნიდერლანდები — ავსტრია. 23:00 ამსტერდამი. **18 ივნისი.** შვედეთი — სლოვაკეთი. 17.00 სანკტ-პეტერბურგი. ხორვატეთი — ჩეხეთი. 20.00 გლაზგო. ინგლისი — შოტლანდია. 23:00 ლონდონი. **19 ივნისი.** უნგრეთი — საფრანგეთი. 17:00 ბუდაპეშტი. პორტუგალია — გერმანია. 20:00 მიუნხენი. ესპანეთი — პოლონეთი. 23:00 სევილია. **20 ივნისი.** იტალია — უელსი. 20:00 რომი. შვეიცარია — თურქეთი. 20:00 ბაქო. **21 ივნისი.** ჩრდ. მაკედონია — ნიდერლანდები. 20:00 ამსტერდამი. უკრაინა — ავსტრია. 20:00 ბუქარესტი. რუსეთი — დანია. 23:00კოპენჰაგენი. ფინეთი — ბელგია. 23:00 სანკტ-პეტერბურგი. **22 ივნისი.** ჩეხეთი — ინგლისი. 23:00 ლონდონი. ხორვატეთი — შოტლანდია. 23:00 გლაზგო. **23 ივნისი.** სლოვაკეთი — ესპანეთი. 20.00 სევილია. შვედეთი — პოლონეთი. 20:00 სანკტ-პეტერბურგი. გერმანია — უნგრეთი. 23:00 მიუნხენი. პორტუგალია — საფრანგეთი. 23:00 ბუდაპეშტი.

**მერვედფინალი**

26, 27, 28, 29 ივნისი.

**მეოთხედფინალი**

2, 3 ივლისი.

**ნახევარფინალი**

6, 7 ივლისი.

**ფინალი**

11 ივლისი. 23:00 ლონდონი.

◎ „სარბიელის“ რჩეული

# სამშობლოშიც საუკეთესო!

**მართლაც, ვინ, თუ არა 20 წლის ხვიჩა კვარაცხელია, რომელმაც ამ სეზონში მთელი საფეხბურთო სამყარო აალაპარაკა და ევროპის ტოპ-კლუბები მასზე ნადირობაში ჩააბა?**

„სარბიელის“ პრესტიჟულ და პოპულარულ გამოკითხვაზე მოგახსენებთ, რომელიც მე-19 გაიმართა, აქედან მესამედ — კომპანია „ლიდერბეთთან“ თანამშრომლობით და „ბირთაიმმა“ უმასპინძლა. საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ჯერჯერობით ისევ ყაზანის „რუბინის“ ლიდერი 81 ჟურნალისტის რჩეული გახდა, ხმათა რაოდენობით ჯაბა კანკავას, ოთარ კიტეიშვილს გაუსწრო და ისეთ თანავარსკვლავედს შეუერთდა, განვლილი პერიოდის ლაურეატობა რომ დაიმსახურეს: **კახა კალაძე (4), შოთა არველაძე (3), გიორგი ქინქლაძე, ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი (2-2), აკაკი დევაძე, თემურ ქეცბაია, ზაზა ჯანაშია, სოლომონ კვირკველია, გიორგი ჩაკვეტაძე.**

სწორედ ტრავმებით გაწამებულ ამ უკანასკნელს გადაეცა გამამხნევებელი სპეციალური პრიზი სიმბოლური სახელწოდებით „დაბრუნება“, რომელიც ნაკარნახევია სურვილით — რაც შეიძლება სწრაფად შეუერთდეს პარტნიორებს, ხოლო ნომინაციაში „დებიუტანტი“ უპირატესობა ავსტრიული „შტურმისა“ და „ჯვაროსანთა“ მარცხენაფლანგელ **გურამ გიორბელიძეს** მიენიჭა.

დავძენთ, რომ საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად მოწყობილ გამოკითხვაში წელს პირველად მონაწილეობდა ჩვენი ლეგენდარული კოლეგა, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის სპორტული გადაცემა „ტაიმ-აუტის“ წამყვანი **ვლადიმერ გუცაევი** და, რაც აღსანიშნავია აგრეთვე, დასახელებულთა შორის, ასევე პირველად, „ლანჩხუთის“ ქალთა გუნდის წევრი **ირინა ხაბურზანიაც** მოხვდა.

◎ მხარე

# ქუთაისს შეემატება...

**მაშინ, როცა ნაცხულიგნებმა პარლამენტის სხდომათა დარბაზი ქუჩური გარჩევების ასპარეზს დაამსგავსეს, მთავრობის მეთაური ირაკლი ღარიბაშვილი იმერეთს ეწვია, სადაც ქუთაისის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტსა და კოპიტნარის აეროპორტში გამართული საქმიანი შეხვედრების შემდეგ ქვეყნის მამაქალაქში ერთი წლის შემდეგ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საცურაო კომპლექსის გახსნა დააანონსა, რომელსაც 6 ათას მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნები დაამშვენებს.**

**„სპორტის საწყლოსნო სახეობებში სასახელო ტრადიციებით რიონისპირელებმა დაიმსახურეს ასეთი საჩუქარი“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. მანვე გვაუწყა, რომ მსგავსი პროფილის ობიექტები მალე ზუგდიდში, ახალციხესა და რუსთავში აშენდება.

◎ ხუთი რგოლი

# სამი - ნაღდი, მეოთხე - სათუო

**შარშან კოვიდპანდემიის გამო ლონდონში დაწყებული მოკრივეთა სალიცენზიო ტურნირი ამ დღეებში პარიზში დასრულდა.**

როგორც მოგეხსენებათ, 52 კილოში მოასპარეზე **სახილ ალახვერდოვმა** ინგლისის დედაქალაქშივე მოიპოვა ტოკიოს საგზური, ფრანგულ რინგზე კი მსგავს წარმატებას საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ბეჟან ჭიჭინავას** კიდევ ორმა შეგირდმა — თბილისელმა **ესკერხან მადიევმა** (69 კგ) და ქუთაისელმა **გიორგი ხარაბაძემ** (75 კგ) მიაღწიეს.

ასე რომ, იაპონურ ფორუმზე სამი „ჯვაროსანი“ გარანტირებულად იჩხუბებს, თუმცა, არის მეოთხე აღბლიანის შემატების შანსიც. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ უკანასკნელი სალიცენზიო ტურნირის გაუქმების გამო გაჩენილ ერთ-ერთ კონტინენტურ ვაკანსიას სოკ-ის მიზნობრივი ჯგუფი სპეციალური რეიტინგით ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელს მიაკუთვნებს.

◎ ლეგიონერი

# ყოჩაღ, გიო!

**ესპანეთის ლიგა ენდესას საპასუხო ნახევარფინალურ შეხვედრაში „ტენერიფემ“ შინ 80:68 მოუგო „ბარსელონას“ და სერიაში ანგარიში გაათანაბრა — 1:1.**

კუნძულელთა წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი ორმაგი დუბლის ავტორმა და MVP წოდების მფლობელად დასახელებულმა **გიორგი შერმადინმა** შეიტანა — 26 წუთში 21 ქულა, 10 მოხსნა, 4 ჩაჭრა და 2 დაფარება.

მესამე მატჩი დღეს კატალონიაში გაიმართება.

გახსენება

# კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს!..

**თბილისი**, რუსთაველის პროსპექტი, „ლაღიძის წყლები“, რომელიც თბილისის სავიზიტო ბარათი გახლდათ. აქ იკრიბებოდა თბილისის ინტელიგენცია, უცხოელი სტუმრები. მიტროფანე ლაღიძემ, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთელის დახმარებით შეიძინა ეს მაღაზია 1906 წელს და მის მიერ შექმნილი, ნატურალური, ღვთაებრივი სასმელით მასპინძლობდა იქ შესულ სტუმრებს.

საბჭოთა პერიოდში ახალგაზრდების თავშეყრის ადგილი „ლაღიძის წყლები“-ს მიმდებარე ტერიტორია გახლდათ. მათ შორის მიტროფანე ლაღიძის შვილიშვილი თორნიკე ლაღიძეც იყო. მიტროფანემ შვილიშვილს თორნიკე დაარქვა, მისი შვილის, საფრანგეთში ემიგრაციაში მყოფი თორნიკეს სახელი, რომლის ნათლიაც აკაკი წერეთელი გახლდათ. პატარა თორნიკეს ბაბუა ზრდიდა, მან ბავშვობიდანვე შეიყვარა ლაღიძის წყლები და ცდილობდა მუდამ ბაბუას გვერდით ყოფილიყო. ბაბუას ქარხანაში თორნიკემ 1960 წლიდან დაიწყო ოფიციალურად მუშაობა, საკუპაჟე საამქროში, სადაც იქმნებოდა ლაღიძის საქვეყნოდ ცნობილი წყლები.

თორნიკე ლაღიძე — სააქციო საზოგადოება „ლაღიძეს“ გენერალური დირექტორი — რაინდული გულით და არისტოკრატული მანერებით. შენ ყველას გვერდით იდექი ჭირსა თუ ლხინში. მრავალი ათეული წლების განმავლობაში იცავდი დიდი ყურადღებით ბაბუაშენის რეცეპტურებს, აკონტროლებდი გადასამუშავებლად შემოსულ ხილის ხარისხს.

თორნიკე, შენ იშვიათი, გულკეთილი ბუნების კაცი იყავი, არავინ არ გაგინთავისუფლებია წარმოებიდან ხანდაზმულობის ან შრომისუნარიანობის დაქვეითების გამო. არასდროს ამაყობდი იმ სახელმწიფო ჯილდოებით, რომელიც მიღებული გქონდა „ლაღიძის წყლების“ აღორძინებისათვის.

1977 წელს, მოსკოვში, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ, დაჯილდოვებული იყავი საპატიო ნიშნის ორდენით. თითქმის ყოველ წელს, მოსკოვის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მიღებული გაქვს ოქროს და ვერცხლის მედლები. მონაწილეობას იღებდი მსოფლიოს ყველა ქვეყნის, კვების პროდუქტების გამოფენებზე, „ლაღიძის წყლების“ საუკეთესო ტრადიციების შენარჩუნებისათვის. მიღებული გაქვს საქართველოს ღირსების ორდენი. „ლაღიძის წყლებს“ მინიჭებული აქვს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

სტალინი დიდ პატივს სცემდა „ლაღიძის წყლების“ შექმნისთვის ბატონ მიტროფანეს. თეირანის და იალტის კონფერენციებზე, ის სიამაყით შესცქეროდა ქართული წყლებით აღფრთოვანებულ კონფერენციის მონაწილეებს და ომის დამთავრების შემდეგ 1945 და 1952 წელს, მადლიერების აღსანიშნავად, ბატონ მიტროფანეს, საჩუქრად მსუბუქი მანქანები გამოუგზავნა. ამას შენ სიამაყით არასდროს აღნიშნავდი. მხოლოდ ძლიერი სიხარული დაგეუფლა, როცა 1987 წელს „ლაღიძის წყლების“ 100 წლისთავზე ბაბუაშენის ქარხანას მთავრობამ „ლაღიძის“ სახელი დაუბრუნა.

ჩვენ ერთად 57 წელი ვიმუშავეთ. ერთად ვებრძოდით უსამართლობას, „ლაღიძის წყლების“ ფალსიფიკატორებს, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. დახმარებისთვის არასდროს მიგიმართავს მთავრობისთვის, თუმცა ამის საშუალება გქონდა, მუდამ კანონის ძალით ვებრძოდით გამოწვევებს.

თორნიკე — შენ იყავი ერთგული მეუღლე, შესანიშნავი ქალბატონის მარინასი, რომელიც ჩემი ქალიშვილის ნათლიაა, იყავი მზრუნველი მამა და ბაბუა. შენი სატკივარი რუსთაველზე გაუქმებული „ლაღიძის წყლები“ იყო, მაგრამ იმედი გქონდეს, მომავალში თბილისს ეს სავიზიტო ბარათი დაუბრუნდება, რადგან შენ დატოვე მცოდნე და ყურადღებიანი შვილები და შვილიშვილები, რომლებიც შეინარჩუნებენ ბაბუაშენის დანატოვარს, „ლაღიძის წყლების“ სახელს და დიდებას.

თორნიკე! შენმა წასვლამ ყველას დაგვწყვიტა გული. მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა. მიწა, რომლის ნაყოფმაც შექმნა „ლაღიძის წყლები“.

მშვიდად იყავი!

შენი მოადგილე, კოლეგა და ოჯახის მეგობარი **ნანა ჩახაია.**

**სააქციო საზოგადოება „ლაღიძეს“ წარმოების კოლექტივი.**

სანთელი

# რუსუდან ბულუსაშვილი

ქართული სამედიცინო საზოგადოების ღირსეულ წარმომადგენელს, ექიმ-მორფოლოგს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, სამშობლოში ელექტრონული მიკროსკოპიის დამფუძნებელს **რუსუდან ბულუსაშვილს** ახლახან 94 წელი შეუსრულდა და გვეიმედებოდა. ღვაწლმოსილ ქალბატონს მალე საუკუნოვან იუბილესაც მივულოცავდით, მაგრამ...

დედაქალაქის პირველი საშუალო სკოლისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის წარჩინებით კურსდამთავრებულმა ცოდნა მედიკოსთა სამჭედლოს ასპირანტურაშიც გაიღრმავა, ხოლო მოგვიანებით წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიცაა, „ნერვული სისტემის როლი ინდუცირებული სიმსივნეების განვითარებაში“ და „ინდუცირებული სიმსივნეების ჰისტოქიმიური თავისებურებანი“.

მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორისა, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელის პრაქტიკული მოღვაწეობა სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან. ათწლეულების განმავლობაში უმწიკვლოდ და სამაგალითო პროფესიონალიზმით განვლო ხანგრძლივი სამეცნიერო გზა და არაერთი ახალგაზრდა თაობა აღუზარდა სამშობლოს.

**გამოჩენილი მეცნიერის, პროფესორ ლუარსაბ შარაშიძის ძვრივის რუსუდან ბულუსაშვილის სახელს სიამაყით და მადლიერებით მოიხსენიებენ შთამომავლობა მეგობრები და კოლეგები.**

ბონდო ჯიქია, კლიმენტი ჯანჯღავა, ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, ჯემალ კუხალაშვილი, ვახტანგ გვარამია, რამაზ ქორქია, ვოვა გვარჯალაძე, დავით ქანთარია, დათო იზორია და ოთარ ჭითანავა სამძიმარს უცხადებენ უახლოეს მეგობარს გივი აბდუშელიშვილს ძმის, უკეთილშობილესი პიროვნების, საზოგადოების აქტიური წევრის

## ოთარ აბდუშელიშვილის

გარდაცვალების გამო.

მეგობრები და ვეტერანი მოფარიკავეები იური ოსიპოვი, ზაზა მჭედლიძე, ზურაბ კუპრაშვილი, გურამ კოსტავა, გივი ცაგარელი, ზურაბ ცქიტიშვილი, აჩიკო გოგელია, გივი ანდრიაძე, ზურაბ ბოკუჩავა, ლუდვიგ ღაღანიძე, ზურაბ აფციაური სამძიმარს უცხადებენ ცნობილ სპორტულ მოღვაწეს **დავით** სახვაძეს და მის **მეუღლეს** სიმამრის და მამის

## ჯუმბერ კიკვაძის

გარდაცვალების გამო.

# დაკავებულია „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 13 პირი!

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, ჩატარებული კომპლექსური საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, თბილისში, თელავსა და ქუთაისში 13 პირი დააკავეს.

დანაშაულები 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. საზღვარგარეთ მყოფ კანონიერ ქურდს ზ.მ.-ს (მეტსახელად „გლეხოვიჩს“) კი ბრალი დაუსწრებლად წარედგინა, რაც 9-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ-ერთ ბრალდებულს, ბიზნესაქმიანობის პროცესში შემოსავლების არაობიექტურად განაწილებასთან დაკავშირებით, ფინანსური დავა წარმოექმნა ბიზნესპარტნიორთან.

მოდავე მხარეებმა უთანხმოების გამო არსებული დავის მოსაგვარებლად „ქურდული სამყაროს“ წევრებს მიმართეს, რის შემდეგაც ერთ-ერთმა საზღვარგარეთ მყოფმა კანონიერმა ქურდმა - ზ.მ.-მ საქმის გარჩევის ორგანიზება თავის შვილს — მ.მ.-ს დაავალა.

ამ უკანასკნელმა კი 2021 წლის 16 აპრილს, თბილისში, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში, დავის ქურდული წესით გარჩევის ორგანიზება მოახდინა, რომლის შედეგად, ერთ-ერთ მოდავე მხარეს მეორის სასარგებლოდ 80 000 ლარის გადახდა დაეკისრა.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს კომპიუტერული ტექნიკა და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ „კანონიერ ქურდს“ უკავშირდებოდნენ.

ასევე, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, პოლიციამ 4 ავტომანქანა და საბრძოლო ვაზნები ნივთმტკიცებად ამოიღო.

# „ჯორჯიან მანგანეზმა“ პროტესტის მონაწილეებთან შეთანხმებას მიაღწია

**სოფელ** შუქრუთის მცხოვრებლებმა შიმშილობა შეწყვიტეს. კომპანიის შეთავაზებას პროტესტის ყველა მონაწილე დათანხმდა. კონსტრუქციული მოლაპარაკებების შედეგად მხარეები შეთანხმდნენ, რომ ზიანის შეფასების შემთხვევაში მათ ექნებათ არჩევანის უფლება, — ამის შესახებ ინფორმაციას „ჯორჯიან მანგანეზი“ ავრცელებს

„1. ზიანის შეფასება განხორციელდეს არსებული მოდელით, რომლის შესახებ უკვე არსებობს ჩანაწერი სოფელს და კომპანიას შორის გაფორმებულ მემორანდუმში.

2. ან მათივე მოთხოვნის მიხედვით, ზიანის შეფასება უზრუნველყოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურომ.

მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმება დოკუმენტით დადასტურდა და მას იურიდიული ძალა აქვს. ინდივიდუალურ ხელშეკრულებებს თან ერთვის „ჯორჯიან მანგანეზის„ სპეციალური მმართველის და პროტესტის მონაწილეთა ხელმოწერები“, — ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

# პატრიარქი: იესო ქრისტეს მადლი დღეს უხვად გადმოდის ხალხზე!



**მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი დღეს უხვად გადმოდის ხალხზე. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ უფალთან შესახვედრად, - ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში გუშინ სადღესასწაულო წირვის შემდეგ, ქადაგებისას ბრძანა.**

უწმინდესმა მრევლს, სრულიად საქართველოს ამაღლების დღესასწაული მიულოცა და ქადაგებით მიმართა.

როგორც პატრიარქმა ბრძანა, მზად უნდა ვიყოთ უფალთან შესახვედრად.

**„გილოცავთ ამ დიდებულ დღესასწაულს, ამაღლებას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ღმერთი მოწყალეა. სახარებაში წერია, რომ მოციქულები დაბრუნდნენ ამაღლების შემდეგ „სიხარულითა დიდითა“. ეს იმას ნიშნავს, რომ ის გზა, ჩვენ უნდა გავიაროთ. ეს არის ღვთის წყალობის, მადლის გზა. მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი დღეს უხვად გადმოდის ხალხზე. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ უფალთან შესახვედრად. მადლი მოგცეთ უფალმა. სადაც მადლია, იქ სიხარული და სიყვარულია. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ. მშვიდობა მოგცეთ ღმერთმა“,** — ბრძანა პატრიარქმა.

# თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დაარსებიდან 91 წელი გასულა!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, თანამშრომლებს, კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებს უნივერსიტეტის დაარსებიდან 91-ე წლისთავს ულოცავს.**

მთავრობის მეთაური თითოეულ მათგანს მადლობას უხდის თავდადებული შრომისთვის.

**„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ვულოცავ დაარსებიდან 91-ე წლისთავს. სამედიცინო უნივერსიტეტი დაარსების დღიდან იყო საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლებისა და მედიცინის მეცნიერებების განვითარების მთავარი კერა და ამ ტრადიციას დღემდე აგრძელებს.**

**პანდემიამ ნათლად გამოაჩინა, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანას ჰყავდეს მაღალპროფესიონალი სამედიცინო პერსონალი. სწორედ ასეთ კადრს ამზადებს სამედიცინო უნივერსიტეტი და ამაყობს კიდეც თავისი აღზრდილი ექიმებით. მეტიც, პანდემიის პერიოდში განსაკუთრებული თავდადება გამოიჩინა არა მხოლოდ მოქმედმა სამედიცინო პერსონალმა, არამედ უნივერსიტეტიდან ასაკის გამო გასულმა ღვაწლმოსილმა აკადემიურმა საზოგადოებამ, ასევე სტუდენტებმა, რომლებიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ღირებულებებითა და წინა თაობების მაგალითებით იზრდებიან.**

**კიდევ ერთხელ ვულოცავ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, ყველა თანამშრომელს, კურსდამთავრებულსა და სტუდენტს უნივერსიტეტის დაარსებიდან 91-ე წლისთავს. მადლობას ვუხდი თითოეულ მათგანს თავდადებული შრომისთვის და ვუსურვებ წარმატებულ პროფესიულ საქმიანობას“,** — ნათქვამია პრემიერ-მინისტრის მილოცვაში.


## ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**


# კატარის სახელმწიფოში ქართული პროდუქცია იყიდება!

**კატარის სახელმწიფოში, საქართველოს საელჩოსა და სპარსეთის ყურის რეგიონის ერთ-ერთი მსხვილი სავაჭრო ქსელების კომპანია Lulu Hypermarket-ის მრავალთვიანი ერთობლივი ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად, Lulu-ს ჰიპერმარკეტების ქსელში ქართული პროდუქცია განთავსდა,** — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

**„9 ივნისიდან ქალაქ დოჰასა და კატარის სხვა ქალაქებში არსებულ Lulu Hypermarket-ის 14 სავაჭრო ობიექტში კატარელი მომხმარებლები შეძლებენ სხვადასხვა ქართული კომპანიის მიერ წარმოებული 50-მდე ნაირსახეობის პროდუქტების შეძენას. მინერალური წყალი, ნატურალური წვენები, ჩაი, ყავა, კომპოტი, ჩირი, შოკოლადი — ამ და სხვა მზა პროდუქციასთან ერთად, Lulu Hypermarket-ის სავაჭრო ქსელში განთავსდა ქართული სეზონური ხილი და ქართული ცხვრის ხორცი.**

**ქართული პროდუქციის Lulu-ს ქსელში განთავსების აღსანიშნავი ღონისძიება, სლოგანით ქართული პროდუქტების ფესტივალი 2021 (Georgian Food Festival 2021), საზეიმო ვითარებაში გახსნეს კატარის სახელმწიფოში საქართველოს ელჩმა ნიკოლოზ რევაზიშვილმა და Lulu Group International-ის აღმასრულებელმა დირექტორმა მოჰამედ ალტაფმა.**

**ხსენებული ფესტივალის ფარგლებში, მომდევნო 7 დღის განმავლობაში, Lulu Hypermarket-ის სავაჭრო ობიექტებში განხორციელდება სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიება კატარულ ბაზარზე ქართული პროდუქციის ცნობადობის ამაღლების მიზნით“,** — აცხადებენ სამინისტროში.

# „გავფრინდეთ“ ავსტრალიის ოკლენდში!..

**ჟურნალის The Economist ანალიტიკურმა დეპარტამენტმა საცხოვრებლად საუკეთესო ქალაქების 2021 წლის რეიტინგი გამოაქვეყნა.**

სიის პირველ ადგილზე ავსტრალიის ქალაქი ოკლენდია. გასული წლების ლიდერმა — ავსტრიის დედაქალაქმა ვენამ მე-12 ადგილზე გადაინაცვლა. ევროპის ის ქალაქები, რომლებიც ტრადიციულად რეიტინგის მოწინავე პოზიციებს იკავებენ, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვების გამო შედარებით დაბალ ადგილებზე განთავსდნენ.

ამავე მიზეზით, პირველ ათეულში 8 ადგილი ახალი ზელანდიის, ავსტრალიისა და იაპონიის ქალაქებმა დაიკავეს, სადაც შეზღუდვები პრაქტიკულად მინიმალურია. ათეულში მხოლოდ ორი ევროპული ქალაქი — ციურიხი და ჟენევა მოხვდნენ (მე-7 და მე-8 ადგილზე). სპეციალისტები 140 ქალაქს აფასებენ. რეიტინგში ბოლო ადგილი კვლავ სირიის დედაქალაქმა დამასკომ დაიკავა.

# აღმოაჩინეს დინოზავრის ახალი სახეობა

**მეცნიერებმა დინოზავრის ახალი სახეობა — „ავსტრალოტიტანი“ აღმოაჩინეს. ეს ყველაზე დიდი დინოზავრია, რომლის ნეშტის ნარჩენებიც ამ დრომდე ავსტრალიაში იპოვეს.**

პირველად „ავსტრალოტიტანის“ ჩონჩხის ნაწილი 2007 წელს კერძო პირის ფერმაში იპოვეს. ნეშტის კვლევას დიდი დრო დასჭირდა. მეცნიერებმა ნაპოვნი ჩონჩხი სხვა დინოზავრების ნეშტს შეადარეს და დარწმუნდნენ, რომ მათ დინოზავრის ახალი სახეობა აღმოაჩინეს. დინოზავრი დედამიწაზე 100 მილიონი წლის წინ ბინადრობდა. მისი სიმაღლე 6 მეტრს, ხოლო სიგრძე 25-30 მეტრს აღწევდა. „ავსტრალოტიტანი“ 23-დან 74 ტონამდე იწონიდა.

# იერუსალიმის შემოგარენში ხანძარს ებრძვიან

**ადგილობრივი მოსახლეობა ევაკუირებულია. ცეცხლი იერუსალიმიდან 7 კილომეტრში მდებარე ტყეში გაჩნდა. ხანძრის ჩასაქრობად მობილიზებულია ათობით მეხანძრე. ცეცხლის ჩაქრობის ოპერაციაში ჩართულია ვერტმფრენი.** ხანძრის გამო იერუსალიმსა და თელ-ავივს შორის სარკინიგზო მიმოსვლა შეჩერდა. გადაკეტილია მოძრაობა რამდენიმე ავტომაგისტრალზე.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 14 ივნისს**


**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.1387; ევრო - 3.8273;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.4500;
100 რუბლი - 4.3520; თურქული ლირა - 0.3660;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8487;
1000 სომხური დრამი - 6.0411.

**ამინდი 11 ივნისისთვის**
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +11, დღე +31
მთიანი რაიონები - ღამე +7, დღე +27
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +12, დღე +27
მთიანი რაიონები - ღამე +8, დღე +27
თბილისი: ღამე +16, დღე +29

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge